

საქართველოს
თავისუფალი
საბავშვო ჟურნალის
წიგნი

2 1962



ს. თ. ს.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების

მ ო ე მ ბ ე

19 თბილისი 62

აკრილი, მინი, იმინი

№ 2 (20)



რედაქტორი: ბესარიონ ჟღენტბი

საკრედიტო კოლეგია:

აღიო ადამია, ვერიკო ანჯაფარიძე,
თამარ ბაქრაძე, ოთარ ეგაძე, ლილი
ლომთათიძე, შალვა მებურიშვილი,
ნინო შვანგირაძე

ნათელი პერსპექტივები

კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ნაციონალური პოლიტიკის შედეგად დიდად ამაღლდა და არნახული განვითარება განიცადა ქართულმა საბჭოთა კულტურამ, საერთოდ, და კერძოდ ქართულმა თეატრალურმა ხელოვნებამ.

პარტიის შეუნელებელი მზრუნველობის მეოხებით დღითი-დღე იზრდება ქართული თეატრის იდეურ-მხატვრული დონე, ეს კანონზომიერიცაა, თეატრი ხომ პარტიის საიმედო თანაშემწეა საბჭოთა ხალხის სულიერი აღზრდის და იდეური წრთობის საქმეში.

თანამედროვე პირობებში პარტია თეატრის წინაშე აყენებს ახალ, უაღრესად საპატიო და საპასუხისმგებლო ამოცანას—ექტიური მონაწილეობა მიიღოს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

ახალი ამოცანების წინაშე დგას საქართველოს თეატრალური საზოგადოებაც, რომელსაც ეკისრება—ფართო პრობაგანდა გაუწიოს თეატრის მიღწევებს, იბრძოლოს ხალხის ცხოვრებასთან თეატრის დაახლოებისათვის, თეატრის უზრუნველსაყოფად მაღალმხატვრული და სრულფასოვანი რეპერტუარით, ყოველმხრივ იბრძოლოს თეატრის ყველა მუშაკის პროფესიონალური სრულყოფა—დაოსტატებისათვის და თეატრალურ მოღვაწეთა ფართო ფენებში მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის პროპაგანდისათვის. თეატრალური საზოგადოების გადაუდებელი ამოცანაა ყოველმხრივ განამტკიცოს კავშირი სახელმწიფო თეატრებსა და თვითმოქმედ ხელოვნებას შორის.

ზემოაღნიშნულ პრობლემათა გადაჭრა—განხორციელების გზებზე და საშუალებებზე გაამახვილა ყურადღება საზოგადოების V ყრილობამ; ყრილობამ მიიღო სათანადო დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს სა-

ზოგადოების საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას, რომლის თანამიმდევრულად ცხოვრებაში გატარება საგრძნობლად აამაღლებს საზოგადოების ბრძოლის უნარიანობას და ყოველმხრივ გააცხოველებს საზოგადოების ყველა რგოლის საქმიანობას იმისათვის, რომ თეატრი უფრო მეტად დაუახლოვდეს ჩვენს ხალხს. თეატრალური საზოგადოების ახლად არჩეულ პრეზიდიუმს დასახული აქვს მთელი რიგი ღონისძიებანი; მათ შორის უპირველესად მოაწყოს მაყურებელთა კონფერენციები, როგორც დედაქალაქში, ისე პერიფერიებში — „ლაპარაკობს მაყურებელი“—ამ კონფერენციებზე მხოლოდ და მხოლოდ მაყურებელი ილაპარაკებს, პირუთენილად, პირდაპირ და კრიტიკულად განიხილავს ყოველ დადგმას და იტყვის თავის კომპეტენტურ სიტყვას, რაც ჩვენის აზრით, დიდ პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს თეატრებს.

ჩენი თეატრები ამჟამად მწვავედ განიცდიან თანამედროვეობის ამსახველი, მაღალ-იდეური და მხატვრულად სრულფასოვანი პიესების უქონლობას. ამიტომ პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება რესპუბლიკის თეატრების რეპერტუარის შევსება-გამდიდრების მიზნით შესწავლილი იქნეს სპეციალურად მივლინებული ამხანაგების მეშვეობით მოძმე რესპუბლიკების თეატრის თანამედროვე ნაციონალური რეპერტუარი და სათანადო შერჩევის შედეგად რეკომენდაცია გაუწიოს მოძმე ხალხთა დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშებს ჩვენს თეატრებში დასადგმელად.

პრეზიდიუმმა არც რადიო და ტელედრამატურგია დატოვა უყურადღებოდ. განზრახულია, მწერალთა კავშირთან ერთად ჩატარდეს დრამატურგებისა და ტელემუშაკების გაერთიანებული თათბირი რადიო და ტელედრამატურგიის მდგომარეობის შესახებ,—ეს თათბირი შეიმუშავებს დებულებას

სპეციალური კონკურსის გამოცხადების შესახებ საუკეთესო რადიო-ტელედრამატურგიულ ნაწარმოებებზე.

ამასთანავე გათვალისწინებულია ამიერკავკასიის რესპუბლიკების თეატრალურ საზოგადოებათა გაერთიანებული სესიის მოწვევა თემაზე „თანამედროვე ადამიანის სახე 1961-1962 წლების რეპერტუარში“. პრეზიდენტმა თეატრის მოღვაწეთა სრულყოფა — დაოსტატების და პროფესიული ზრდის მიზნით გაითვალისწინა მთელი რიგი ღონისძიებანი; თეატრის მუშაკები სისტემატურად გაიგზავნებიან შემოქმედებით მივლინებებში მოსკოვისა და ლენინგრადის თეატრებში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. გაიზრდება თეატრებში ჩასატარებელი ლექცია-მოსხენებების რიცხვი, როგორც სათეატრო ხელოვნების, აგრეთვე მარქსისტულ-ლენინურ ესთეტიკის ცალკეულ საკვანძო საკითხებზე;

განზრახულია მოეწყოს როგორც სახელმწიფო, ისე სახალხო თეატრების მუშაკთა დარგობრივი სემინარები, აგრეთვე, გაიგზავნება ჯგუფი ამხანაგებისა მოსკოვს სადადგმო მუშაკთა საშუალო-სპეციალურ სასწავლებელში კურსის გასავლელად.

თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტმა ყოველმხრივ განამტკიცებს კავშირს სახელმწიფო თეატრებისა და თვითმოქმედ დრამატულ კოლექტივებს შორის, ამ მიზნით რესპუბლიკის ყველა თვითმოქმედ თეატრალურ კოლექტივს მიემაგრება პრეზიდენტის და გამგეობის ერთ-ერთი წევრი — პრაქტიკულ შემოქმედებითი დახმარებისათვის.

დიდია ამოცანები, ნათელია პერსპექტივები. ახლა საჭიროა ინტენსიური და დაძაბული მუშაობა.

V ყ რ ი ლ მ ა

მიმდინარე წლის 16 და 17 აპრილს ჩატარდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების მე-5 ყრილობა. საზოგადოების მე-4 ყრილობიდან მე-5 ყრილობამდე გაწეული მუშაობის შესახებ ვრცელი საინფორმაციო მოხსენებით გამოვიდა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ანხ. მიხეილ მრევლიშვილი.

— თითქმის ოთხ წელიწადზე მეტი გავიდა, — აცხადებს ანხ. მრევლიშვილი, — საქართველოს თეატრალური საზოგადოების მე-4 ყრილობიდან, რომელიც 1957 წლის მიწურულში ჩატარდა. დროის შედარებით ეს პატარა მონაკვეთი აღინიშნა მთელი რიგი ისტორიული მოვლენებით, რომელთაც განსაზღვრეს არა მარტო სოციალისტური ბანაკის პოლიტიკური და ეკონომიური ზრდის ტემპები, არამედ კაცობრიობის საზოგადოებრივი ცხოვრების სუნთქვა და მიჯისცემა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი კომუნისმის მშენებლობის საბრძოლო პროგრამად და ჩვენი ეპოქის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტად იქცა, სკკპ ახალ პროგრამის მიხედვით კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასთან ერთად იქმნება და ყალიბდება ახალი ფორმაციის ადამიანი, ამასთან ერთად პროგრამაში დასახულია დიდი ამოცანა — ადამიანის სრულყოფილად აღზრდისა და ამ ადამიანებისათვის სულიერი და მატერიალური დოვლათის დაჯილდოებისათვის ზრუნვის შესახებ. — „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“ — მოგვიწოდებს პარტიის ახალი პროგრამა — ჩვენი ეპოქის კომუნისტური მანიფესტი.

— პარტია დაუცხრომლად იზრუნებს ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის აკვავებისათვის, — ნათქვამია სკკპ ახალ პროგრამაში.

ში, — თითოეული ადამიანის პირადი უნარის რაც შეიძლება სრული გამოვლინების ყველა პირობის შექმნისათვის, ყველა მშრომლის ესთეტიკური აღზრდისათვის, ხალხში მალამბატრული გემოვნებისა და კულტურული ჩვევების ჩამოყალიბებისათვის, მხატვრული საწყისი კიდევ უფრო შთამაგონებელი იქნება შრომისა, გამშვენებლებს ყოფა-ცხოვრებას და გააკეთილშობილებს ადამიანს.

ვის დაეცისრება ამ ამოცანის შესრულება, — დასძენს მომხსენებელი, — თუ არა იმ შემოქმედებით ორგანიზაციებს, რომლებიც მდგომარეობით უკვე მოწოდებულნი არიან, იყვნენ პარტიის ერთგული თანამშრომნი ხალხის კულტურული აღზრდის საქმეში. აქედან გამომდინარე ჩვენი შემოქმედებითი ორგანიზაციები, — დასკვნის ანხ. მრევლიშვილი, — მოწოდებულნი არიან ყველა პირობა შექმნან საბჭოთა ადამიანის სულიერი და კულტურული განვითარებისათვის. და აი, სწორედ ამ ასპექტში დიდი როლი ენიჭება სხვა შემოქმედებით ორგანიზაციებთან ერთად რესპუბლიკების თეატრალურ საზოგადოებებს და მათ შორის საქართველოს თეატრალურ საზოგადოებასაც, რომელიც საღვთისოდ 1400 წევრს აერთიანებს. შეგდეგ ანხ. მრევლიშვილი ლაპარაკობს რა საქართველოში თეატრალური საზოგადოების განვითარებაზე წარსულში, — აღნიშნავს: — თეატრალური საზოგადოების წინამორბედი „ქართული დრამატული საზოგადოების“ სახით ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში შეიქმნა ჩვენი დიდი საზოგადო მოღვაწეებისა და მწერლების ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თაოსნობითა და ინიციატივით. და სწორედ ამ დღიდანვე ჩაეყარა საფუძველი ქართველ მწერალთა და თეატრალურ მოღვაწეთა მჭიდრო კავშირსაც.

რასაკვირველია, — ამბობს ანხ. მრევლიშვილი, — მევის თვითმპყრობელური რეჟიმისა

და რეაქციის პირობებში მაშინდელ დრამატულ საზოგადოებას არ ჰქონდა არც საშუალებანი და არც მუშაობის ის მასშტაბი, რომელიც აქვს 1945 წლიდან შექმნილ ხელახლად აღორძინებულ საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას. ეს პირობები მხოლოდ საბჭოთა ეპოქამ და კომუნისტური პარტიის ნაციონალურმა პოლიტიკამ შეუქმნა მას.

საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მუდმივი ზრუნვისა და სრულიად—რუსეთის თეატრალური საზოგადოების მხურვალე მხარდაჭერითა და დახმარებით,—ამბობს მომხსენებელი,—საქართველოს თეატრალური საზოგადოება თავისი არსებობის მე-18 წლის თავზე ერთ-ერთ მძლავრ შემოქმედებით ორგანიზაციად იქცა და მოძვე რესპუბლიკების თეატრალურ საზოგადოებათა შორის პირველ რიგებში ჩადგა.

ამხ. მრეგლიშვილი აკეთებს რა თეატრალური საზოგადოების მუშაობის მიმოხილვას საინფორმაციო პერიოდში, დასძენს:

— მართალია, თეატრალური საზოგადოების მოღვაწეობა და მისი შედეგი არ განისაზღვრება არც კალენდარული თარიღების აღნიშვნით და არც რიცხობრივი მაჩვენებლებით, მაგრამ უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ჩატარებულ ღონისძიებათა მრავალფეროვნება და მათი შინაარსი საშუალებას იძლევა, წარმოადგენა ვიქონიოთ ჩვენი საზოგადოების მუშაობაზე და მის ხასიათზე.

— როგორც ცნობილია, —ამბობს ამხ. მრეგლიშვილი, —ჩვენი საზოგადოება ატარებს მეტად მრავალკუროვან ღონისძიებებს. ეს ღონისძიებებია: სამეცნიერო სესიები, როგორც თბილისში, ისე რაიონულ ქალაქებში. კონფერენციები სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის მაცურებელთა კონფერენციები, დისპუტები, საიუბილეო და შემოქმედებითი საღამოები, ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოები და თარიღების აღნიშვნა, შეხვედრები ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებთან, ლექცია-მოსხენებები, როგორც სახელმწიფო და სახალხო თეატრებში, აგრეთვე კულტურის სახლებთან არსებულ თვითმოქმედი თეატრების კოლექტივებში, კონკურსები თანამედროვეობის ამსახველ სპექტაკლებზე და მრავალი სხვა.

ამრიგად, —განავრძობს მომხსენებელი, —ახალი ფორმების ძიება თეატრალურ ხელოვნებაში, ახალი დადგმების განაალიზება და შესწავლა, თაობათა შეხმატებილებული შემოქ-

მედებითი მუშაობა ექსპერიმენტულ პირობებში, შემოქმედებითი დახმარება თეატრის პერიოდში, საბჭოთა მაცურებლის მოთხოვნილებათა შესწავლა, თეატრსა და მაცურებელს შორის უშუალო შემოქმედებითი კონტაქტის დამყარება მაცურებელთა კონფერენციების მეშვეობით, ისტინატური შემოქმედებითი კავშირი მოძვე რესპუბლიკების თეატრალურ საზოგადოებებთან—ჩვენი საზოგადოების გადაუდებელ ამოცანებს წარმოადგენს.

შემდეგ ამხ. მრეგლიშვილი გადადის რა საზოგადოების ერთ-ერთი წამყვანი განყოფილების—სამეცნიერო-შემოქმედებითი განყოფილების და მასთან არსებული რევიზორისა და მსახიობის, თეატრალური კრიტიკისა და თეატრმკოდნობისა და თეატრების სადადგმო ნაწილის სექციების მუშაობაზე, აღნიშნავს: —იმისათვის, რომ აქ დამსწრე ამხანაგებს წარმოადგენა ექნეთ ჩვენი მუშაობის ხასიათზე, მისანშეწონილად მიმოიხილო, მოვიყვანო მე-4 ყრილობიდან დღემდე ჩატარებული ღონისძიებების ზოგიერთი მოკლე სტატისტიკური ცნობები. ასე მაგალითად, ჩვენმა საზოგადოებამ 1958 წელში ჩატარა შემდეგი ღონისძიებები: კონფერენცია—1—9 მოხსენებით, სესია (თბილისში)—2—9 მოხსენებით, სესია (გამსვლელ რაიონებში) 9—34 მოხსენებით, საიუბილეო საღამო—1, შემოქმედებითი საღამო, როგორც თბილისში, ისე პერიფერიულ თეატრებში—24, ხსოვნის საღამო—1, დისპუტი—6—15 სპექტაკლზე, კიდევ სპექტაკლების განხილვა 9 თეატრში—20 სპექტაკლი, მოხსენებები თბილისის ფაბრიკა-ქარხნებსა და წარმოებადწესებულებებში, როგორც თბილისის თეატრების სპექტაკლების პოპულარიზაციის მიზნით, ისე ხელოვნების სხვადასხვა დარგის საკითხებზე—90, მოხსენებები რაიონული კულტურის სახლების თვითმოქმედი თეატრალურ კოლექტივებში—99, სემინარი—თვითმოქმედი თეატრალურ კოლექტივების რევიზორებისა და სამხატვრო ნაწილის გამგეებისათვის—1—4 მოხსენებით; მოხსენებები ქართული თეატრის ისტორიასა და ქართულ საბჭოთა თეატრზე მოსკოვის დიდ ფაბრიკა-ქარხნებში ქართული დეკადის დღეებში—34, შეხვედრები თეატრის გამოჩენილ მოღვაწეებთან—3 და სხვა. სულ 343 ღონისძიება. ასეთივე მუშაობა გაქუელი მომდგენი წლებში. სულ მე-4 ყრილობიდან მე-5 ყრილობამ-

დე ჩატარებულია — 1400-მდე ღონისძიება. ამრიგად, — დასკვნის ამხ. მრევლიწვილი, — დაახლოებით საშუალოდ დღეში ერთ ღონისძიებას ატარებს ჩვენი საზოგადოება. თეატრების მუშაკთა შემოქმედებითი დახმარების ე. ი. მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საქართველოს თეატრალური საზოგადოება ყოველწლიურად თეატრის შემოქმედ მუშაკებს აგზავნის შემოქმედებით მივლინებებში — მოსკოვში, ლენინგრადში, კიევიში და სხვა. საანგარიშო პერიოდში ვაგზავნილია მოსკოვში — 81, ლენინგრადში — 10, კიევიში — 1, რიგში — 1, ხოლო თბილისში რაიონული თეატრებიდან — 12. სულ 105 კაცი.

როგორც ცნობილია, — განაგრძობს ამხ. მრევლიწვილი, — 1947 წლიდან საქართველოს თეატრალურ საზოგადოებასთან არსებობს გამომცემლობა „ხელოვნება“, რომელიც მეტად ნაყოფიერად მუშაობს. ჩვენი გამომცემლობა პირველ რიგში უზენეს ისეთ წიგნებს, რომლებიც ხელოვნებას, კერძოდ თეატრალურ ხელოვნებას ეხება. ეს წიგნებია — მონოგრაფიები ქართული თეატრის გამოჩენილ მოღვაწეებზე, მოგონებები, პიესების კრებულები და სხვა. სულ დღემდე „ხელოვნებამ“ გამოცა 250-მდე წიგნი.

— საქართველოს თეატრალური საზოგადოება, — ამბობს დასასრულს ამხ. მრევლიწვილი, — რომლის გამგეობასა და პრეზიდიუმშიაც არიან ჩვენი რესპუბლიკის გამოჩენილი მოღვაწეები და რომელსაც თავის გარშემო დარაზმული ჰყავს აქტივი, კვლავაც გააგრძელებს თავის ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას.

სკკპ XXII ყრილობამ გრანდიოზული ამოცანები დასახა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული ორგანიზაციების წინაშე, — დასძინს ამხ. მრევლიწვილი, — ჩვენი საზოგადოება, როგორც კულტურის ერთ-ერთი კერა მომავალშიაც უქეთ იმუშავებს რათა თავისი წვლილი შეიტანოს ქართული თეატრალური ხელოვნების შემდგომი განვითარებისა და აყვავების საქმეში — ფორმით ნაციონალური, ხოლო შინაარსით სოციალისტური ხელოვნების შემდგომი განვითარების საქმეში.

ამხ. მიხეილ მრევლიწვილის საანგარიშო მოხსენების დიდი ნაწილი შეეხებოდა ქართული საბჭოთა თეატრისა და დრამატურგიის დღევანდელ მდგომარეობას. თავისი მოხსენების ამ ძირითად ნაწილში მიხეილ

მრევლიწვილმა პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე განიხილა თეატრალური ხელოვნების უმნიშვნელოვანესი შემოქმედებითი საკითხები.

ამხ. მრევლიწვილის მოხსენების შემდეგ საზოგადოების გამგეობის სარევიზო კომისის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ამ კომისიის თავმჯდომარე, რესპ. სახალხო არტისტი ვ. ნინიძე. ხოლო საქართველოს თეატრალური საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ მოხსენება წიკთხა საზოგადოების პრეზიდიუმის წევრმა ამხ. ო. ევაძემ.

მოხსენებთა გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს რევისორებმა, მსახიობებმა, თეატრმცოდნეებმა და ხელთნების სხვა დარგის მოღვაწეებმა.

— დღეს ჩვენ მოვისმინეთ, — ამბობს კამათში გამოსული საქართველოს სათეატრო მუხუშმის დირექტორი, ხელოვნების დასახურებული მოღვაწე, გ. ბუხნიკაშვილი, — არა მარტო თეატრალური საზოგადოების გამგეობის საანგარიშო მოხსენება, არამედ ჩვენი ყრილობა ისმენს ქართული თეატრალური კულტურის ანგარიშს, ანგარიშს მისი მზალთუნის შესახებ კომუნისტების მშენებლობისათვის საბრძოლველად.

შემდეგ ამხ. ბუხნიკაშვილმა ილაპარაკა რა ქართული საბჭოთა თეატრის მიღწევებზე, ახალგაზრდა შემოქმედი მუშაკების დაწინაურებაზე რესპუბლიკის სხვადასხვა თეატრებში და თეატრების სპექტაკლების იდეურ-მხატვრულ ღირსებაზე, დაასკვნა, — უდიდესი როლი ენიჭება თეატრალურ ხელოვნებას ვაშლილი კომუნისტების მშენებლობის პერიოდში. თეატრი ეს არის კომუნისტური აღზრდის კერა, კომუნისტების მშენებელთა გამორული ბრძოლის მხატვრული გამოსახვის ერთ-ერთ უძლიერესი საშუალება.

— ქართულმა თეატრმა, — ამბობს რუსთაველის სახ. თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე, თეატრმცოდნე ვ. კიკნაძე, — უკანასკნელი 40 წლის მანძილზე უდიდესი ნახტომი გააკეთა თავისი პროფესიული დაოსტატების თვალსაზრისით. ეს დიდი წინსვლა ისტორიულად მოკლე დროში, იმაზე ლაპარაკობს, რომ ქართველ ხალხს და ქართული თეატრის მუშაკებს უადრესად დიდი შესაძლებლობანი აქვთ, რათა გაუსწორდნენ ეპოქის ყველაზე დიდ მოთხოვნას, ამახ მოწმობს თუ გნებავთ ჩვენი წამყვანი თეატრე-



ბის არაერთგზისი გასტროლები დიადი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში და კერძოდ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა მოსკოვში.

მაგრამ, დასძენს ორატორი, — გულისტკივილით უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ ხანს შეიძინევა ერთგვარი გულცივობა და ნილინიზმი თეატრალურ ხელოვნებისადმი. ეს გამოწვეულია იმ ყალბი შეხედულებებით, თითქოს თეატრმა მოკამა თავისი დრო და რომ ის ვეღარ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებებს, რომ თეატრი აღარ არის საჭირო და სხვა ასეთები. რა თქმა უნდა ეს შეხედულებანი ძირშივე შემცდარია და აღსაქმეთია.

შემდეგ ამხ. კიკნაძე მოუწოდებს თეატრისა და მწერლობის მიქრო მოვლევებითი ურთიერთობის განმტკიცებისაკენ. მით უმეტეს, რომ ქართულ თეატრსა და მწერლობის თანამშრომლობას დრმა ფესვები აქვს წარსულში. ჩვენ ხალხს, — დასძენს ორატორი, — უყვარს თეატრი და მისი შემოქმედი აღმამაჩენი, მაშ რატომ არ ვეძიებთ, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებში შეტანილ იქნეს ქართული თეატრის გამოჩენილ მოღვაწეთა ბიოგრაფიები და მათი ნაწარმოებები? ამხ. კიკნაძე აყენებს საკითხს, — დროა ჩვენს თეატრალურ ხელოვნებას ჰქონდეს საკუთარი ორგანო ყოველკვირეული გაზეთის სახით, რომელშიც გაშუქებულ იქნება როგორც ჩვენი რესპუბლიკის დელაქალაქის, ისე ჰერიფერიული სახელმწიფოთა და სახალხო თეატრების ცხოვრება და შემოქმედებითი მუშაობა. მართალია, არსებობს ყურნალი „ხელოვნება“, მაგრამ მისი დანიშნულება მეტად ფართოა — ფერწერა, მუსიკა, კინო, არქიტექტურა და სხვა. ამიტომ თეატრალური ხელოვნებისათვის მეტად განსაზღვრული ადგილი რჩება. ამასთან ამხ. კიკნაძემ ყურადღება გამახვილა აგრეთვე თავის გამოსვლაში ქართული ენის სიწმინდისათვის ბრძოლის აუცილებლობაზე თეატრში.

ყრილობაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა სრულიად-რუსეთის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ნ. ა. საპეტოვი, რომელიც მიესალმა ყრილობას ამ საზოგადოებისა და მისი მხცოვანი თავმჯდომარის ა. ა. იაბლოჩინას სახელით. შემდეგ ამხ. საპეტოვმა გააკეთა რა სრულიად-რუსეთის თეატრალური საზოგადოების მუშაობის მოკლე მიმოხილვა აღნიშნა — ჩვენი საზოგადოება რსფსრ ტერიტორიაზე აერთიან-

ნებს — 73 განყოფილებას. მას აქვს 40 მწერალი ონი მანეთის ბრუნვა, 6 დასასვენებელი სახლი, სცენის ვეტერანთა 2 სახლი, აშენებს სანატორიუმს სოჭაში, აქვს საკუთარი რესტორანი, სადაც თავს იყრიან ხელოვნების მუშაები საუბრობენ თავიანთი შემოქმედებით გეგმებზე, გამოცდილებათა გაზიარებაზე და სხვა საჭირობო საკითხებზე.

— სკკ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, აცხადებს ამხ. საპეტოვი, — სრულიად-რუსეთის თეატრალურმა საზოგადოებამ ხელოვნების მუშაკთა წინაშე დასახა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებს მწერალთა ფართო მიზიდვას თეატრში, რეჟისორის ხელოვნების გაუმჯობესებას, სახალხო თეატრებისათვის ფართო დახმარებას, თეატრალური კრიტიკის გაუმჯობესებას და სხვა.

— მუსიკალური კომედიის თეატრი, — აცხადებს გ. აბაშიძის სახ. თბილისის მუსიკალური — კომედიის თეატრის მთავარი რეჟისორი ხელოვნ. დამს. მოღვაწე შ. მესხი, — თეატრალურ ცხოვრებაში ახალგაზრდა ჟანრია და ფაქტურად ახლა მიმდინარეობს ამ ჟანრის აღმოცენება-ჩამოყალიბება ჩვენში. ჩვენს თეატრში დღემულია თანამებრავიერების ამსახველი ქართული მუსიკალური კომედიები და ოპერეტები. ამ ნაწარმოებებში ბევრი რამ კარგია, და საინტერესო შემოქმედებითი მიგნებებია, მაგრამ გვაქვს ჩავარდნებიც. საჭიროა ამ მასალის შესწავლა, გაწმენდა, სუსტის უქუცდება, ხოლო კარგის წახალიჩება, რაც ხელს შეუწყობს ამ ჟანრის განვითარებას, რისთვისაც გვეჭირდება სერიოზული დახმარება. ამას კი ხელი უნდა მოკიდოს თეატრალურმა საზოგადოებამ და მწერალთა საზოგადოებრივამ. გ. აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიის თეატრს, — დასძენს ამხ. მესხი, — დღემდე არ აქვს საკუთარი შენობა, რაც უარყოფითს ამ ჟანრის განვითარებას, რისთვისაც გვეჭირდება სერიოზული დახმარება. ამას კი ხელი უნდა მოკიდოს თეატრალურმა საზოგადოებამ და მწერალთა საზოგადოებრივამ. გ. აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიის თეატრს, — დასძენს ამხ. მესხი, — დღემდე არ აქვს საკუთარი შენობა, რაც უარყოფითს ამ ჟანრის განვითარებას, რისთვისაც გვეჭირდება სერიოზული დახმარება. ამას კი ხელი უნდა მოკიდოს თეატრალურმა საზოგადოებამ და მწერალთა საზოგადოებრივამ.

მწერლებისა და თეატრის ურთიერთ მიქედრო შემოქმედებითი კავშირის აუცილებლობაზე ილაპარაკა აგრეთვე რუსთაველის სახ. თეატრის დირექტორმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ. ჩვენს თეატრში



პირველ რიგში, — ამბობს ანთაძე, — უნდა იდგმებოდეს ქართული ავტორების ორიგინალური პიესები, მაგრამ ჩვენ მეტი ყურადღებით უნდა ვეპყრობოდეთ უცხოელი და მოძვე რესპუბლიკების ავტორთა პიესებს, თუ კი ისინი აკმაყოფილებენ თეატრის და მსყურებელთა მოთხოვნილებებს.

ანთაძე აყენებს საკითხს თეატრებთან სტუდიების დარსების შესახებ. მიუხედავად იმისა, — ამბობს იგი, — რომ არსებობს თეატრალური ინსტიტუტები, მაგ. უკრაინაში ორი ასეთი ინსტიტუტია. მოსკოვში, ლენინგრადში და კიევში მიიწვი არსებობს თეატრებთან სტუდიები. მე ვფიქრობ, — საჭიროა დაარსდეს ასეთი სტუდიები ჩვენს წამყვან თეატრებთან მიიწვი.

ილაპარაკა რა დრამატურგმა ვ. გაბისკირიამ ქართული თეატრების დღევანდელ რეპერტუარზე, თეატრების ხელმძღვანელების დამოკიდებულებაზე ავტორებთან დასძინა, — უნდა შევინაშნოთ, რომ ჩვენ თეატრები რატომღაც კომედიას უფრო ფართოდ უღებენ ვიდრე, ხოლო ნაკლებ სასურველ სტუმრად სთვლიან თანამედროვე დრამას, — ტრაგედიაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. თეატრები უხალისოდ ეკიდებიან ან უნდობლობას უცხადებენ ტრაგედიას. მე ვფიქრობ, — დასძინეს ანთაძე. გაბისკირია, — ასეთი მიდგომა შეცდომაა. ჩვენ თანაბრად გვჭირდება როგორც ნამდვილი კომედიები, და არა კომედიებად მონათლული ვოდვეილები, ისე ტრაგედიები, რომელშიაც მთელი სინამდვილით იქნება ასახული ჩვენი ცხოვრების ღრმა კონფლიქტები და მძაფრი წინააღმდეგობანი.

კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ანთაძე. ე. გოგიაშვილმა ყრილობის დღეგატების ყურადღება გაამახვილა თეატრებში შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე, საფინანსო-სარეპერტუარო გეგმების შესრულების აუცილებლობაზე, ხელფასის გაცემის არანორმალურ მდგომარეობაზე და მსყურებელთა მოზიდვის ორგანიზაციის საკითხებზე.

— საინჟინერო პერიოდის მანძილზე, — აღნიშნავს ანთაძე. გოგიაშვილი, ბევრი სპექტაკლი შეიქმნა თანამედროვეობის ამსახველი, მაგ. მართო ვასული ერთი წლის მანძილზე განხორციელდა 128 ახალი დადგმა, რომელთაგან ნახევარზე მეტი თანამედროვეობის აქტიურ თემებს მიეძღვნა, რასაც ერთ-

გვარად ხელი შეუწყო სამხატვრო სპექტრისა და შემოქმედებითი კოლექტივების შეთანხმებულმა მუშაობამ, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი რიგზე გვაქვს თეატრების მუშაობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ, — განაგრძობს ანთაძე. გოგიაშვილი, — რესპუბლიკის ზოგიერთ თეატრში უნებლად ირღვევა შრომის დისციპლინა, ადგილი აქვს სახეგანაკვეთო მუშაობას, დასვენების დღეებში მუშაობას და სხვა. ხშირია შემთხვევა, როცა ესა თუ ის თეატრი თვებით არ დგამს პიესებს, მაშინ, როდესაც ერთბაშად იწყება იერიშიანობა და წარმოებული ერთბაშად უშვებენ რამოდენიმე პიესას.

ანთაძე. გოგიაშვილი აღნიშნავს, რომ ერთობ დაუდევრად ექცევიან ადგილებზე თეატრალურ ინსტიტუტ დამთავრებულ ახალგაზრდა მუშაკებს, რომლებსაც არ უქმნიან სათანადო საყოფაცხოვრებო პირობებს და შესაფერ შემოქმედებითი ატმოსფეროს. საჭიროა უფრო მეტი ყურადღება სახალხო თეატრების კოლექტივებისადმი, რასაც შეთანხმებულად უნდა აკეთებდნენ ჩვენი კავშირი, კულტურის სამინისტრო და თეატრალური საზოგადოება.

პერიოდული თეატრების მდგომარეობაზე ილაპარაკეს ი. ჭავჭავაძის სახ. ბათუმის სახელმწიფო თეატრის დირექტორმა, რესპ. სახ. არტისტმა მ. ხინიკაძემ და გ. ერისთავის სახელმწიფო თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. აბრამიშვილმა.

ანთაძე. მ. ხინიკაძე აღნიშნავს, რომ რაიონულ თეატრებს არ ამარაგებენ სათანადო მასალებით, რომლებიც თეატრის სპირიტუალური სპექტაკლის განხორციელების დროს, კარგა ხანია კულტურის სამინისტრო გვიზრდება ავტობუსს, მაგრამ არ იქნა და ვერ ეღირსა ბათუმის თეატრი ასეთი ავტობუსის მიღებას. გარდა ამისა, — დასძინეს ანთაძე. მ. ხინიკაძე, — რაიონული თეატრები ერთობ მივიწყებულნი არიან ჩვენი ყოველდღიური პრესისაგან და უურჩევლისაგან. რესპუბლიკურ პრესაში ნაკლებად, ან სრულიად არ იწერება რეცენზიები იმ თეატრების სპექტაკლების შესახებ, რომლებიც თბილისის ვარეთ მუშაობენ. დროა ბოლო მივღოს ასეთ შეუფასებლობას. საჭიროა მიხედვით სხვა თეატრებსაც, რომლებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ ხელაწივების საერთო საგანძურში.

— თბილისის, თუ რაიონულ თეატრებს რომ გადაეხედოთ, — ამბობს ანთაძე. გ. აბრამი-



შეილი, — ყველგან არიან თეატრალური ინსტიტუტები დამთავრებულნი. ეს მისასაღმებელია, ეს ლაპარაკობს თეატრალური ინსტიტუტის ნაყოფიერი მუშაობაზე, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ახლად დამთავრებულებს თბილისში უფრო მეტს ტოვებენ, ვიდრე რაიონებში ავზაენიან. მაშინ, როდესაც რაიონულ თეატრებს უფრო მეტად ესაჭიროება ახალგაზრდა კადრები. გარდა რეჟისორებისა და მსახიობებისა, ჩემის აზრით, საჭიროა აგრეთვე იგზავნებოდნენ თეატრმკოდნეებიც რაიონულ გახეთქებში იმ მიზნით, რომ რეცენზიები იწერებოდეს პროფესიონალების მიერ და არა შემთხვევითი მოკალმეებისაგან.

სახალხო პოეტმა — აკადემიკოსმა გიორგი ლეონიძემ თავისი სიტყვა მიუძღვნა ქართული თეატრის ერთ-ერთი წინაპრის გაბრიელ მაიორის — გაბრიელ არეშიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. გაბრიელმა, რომ, და ახლადგან ამახ. ლეონიძე, — გაბრიელ მაიორი იყო განათლებული სამხედრო პიროვნება. მას მოვლილი ჰქონდა იმ დროის რუსეთი და ერეკლეს სამეფო კართან დაარსა პირველი ქართული თეატრი. გაბრიელ მაიორი დაიღუპა თავის თეატრის მსახიობებთან ერთად კრწანისის ველზე სამას არაველთან მხარდამხარ ბრძოლაში. იგი თავის ზარბაზნზე აკულეს ალამაზადახანის ურდოებშია.

— დადგენილია, — დასძენს ორატორი, — რომ გაბრიელ მაიორის თეატრის ადგილსამყოფელი იყო მტკვრის პირას — ახლანდელ ვოლოდარსკის ქუჩაზე № 11-ში. შემდეგ ამახ. ლეონიძეს წინადადება შემოაქვს იმ ადგილზე, სადაც ეს თეატრი არსებობდა, დაიდგას გაბრიელ მაიორის ქანდაკება და ქუჩასაც ეწოდოს გაბრიელ მაიორის სახელი, თეატრალური ინსტიტუტები დაარსდეს გაბრიელ მაიორის სახელობის სტიპენდია; მისი სახელი ეწოდოს აგრეთვე თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ვარხუნას ადგილობრივ სკოლას იმ სოფლის, რომელშიაც ცხოვრობდნენ გაბრიელ მაიორის წინაპრები არეშიშვილები. გამოიცეს აგრეთვე მონოგრაფია გაბრიელ მაიორზე.

— დღეს, ყველაზე საჭირობო საკითხია თანამედროვე ცხოვრების გამოხატვა ჩვენს დრამატურგიაში, — აცხადებს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე, — თმეცა ჩვენ არ უნდა დავეწყობო ჩვენი გმირული წარსული. მე ძალიან მომეწონა გიორგი ლეონიძის სიტყვა. მან ერთხელ კი-

დღე გაგვახსენა ჩვენი წარსული წინაპრის მოღვაწეობა, გაგვახსენა, თუ როგორ უყვარდა ჩვენს ამაგდარ წინაპრებს თეატრი და როგორ პირობებში ქმნიდნენ ისინი ქართულ ეროვნულ თეატრს. ამიტომ მით უფრო უნდა გვიყვარდეს ჩვენი ლეიძლი საქმე, ჩვენი საბჭოთა თეატრი. ჩვენ ხომ ყოველგვარი შესაძლებლობა გვაქვს ვიმუშაოთ და შევქმნათ ხალხისათვის ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები! — მე ერთხელ კიდევ გაგახსენებთ, — დასძენს ამახ. გ. ანჯაფარიძე, — რომ ჩვენი თეატრის ერთ-ერთი ფუნქცია ისიც არის, რომ შევინარჩუნოთ ჩვენი ეროვნული ენა, ჩვენი ხასიათი, ჩვენი სიმდიდრე აი, ამიტომ უნდა მოვლა ჩვენს ქართულ თეატრს.

შემდეგ ამახ. ანჯაფარიძე აღნიშნავს, რომ საჭიროა გავუფროსოთ ჩვენს საეტაპო სპექტაკლებს, რადგან მათი შენახვა მეტად სავალალო მდგომარეობაშია. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ კარგი ტრადიცია ქართველი მწერლების უფრო მეტი დაახლოება თეატრთან. საჭიროა ჩვენი თეატრალური კრიტიკა იყოს ობიექტური. წინააღმდეგ შემთხვევაში იწერება ისეთი რეცენზიები, რომლებიც არაფერს აძლევს არც მსახიობს და არც რეჟისორს. მე ვუერთდები ამახ. გ. კიკნაძის წინადადებას — ქართულ თეატრალურ ხელოვნებას ქონდეს საკუთარი გახეთი, ამასთან ერთად — საჭიროა კულტურის ისეთი მყუდრო კერა, სადაც შეიძლება თავის ვეყრა და ერთი მეორის გამოცდილებისა და აზრების გაზიარება.

სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ხორავა შეიხარა რა მხატვრულ თვითმოქმედებაზე დისკინა, — დღეს და გუშინ ბევრი ვილაპარაკეთ სახელმწიფო თეატრებზე და ნაკლებად, ან სულ არ თქმულა თვითმოქმედ თეატრალურ კოლექტივებზე მაშინ, როდესაც მათ ძალიან დიდი მოვალეობა აკისრიათ მოსახლეობაში თეატრალური განათლების შეტანის საქმეში. თქვენ იცით, რომ ყოველ კულტურის სახლთან, ყოველ საკოლმეურნეო სოფელში არსებობს თვითმოქმედი დრამატული კოლექტივები. ჩვენი მოვალეობაა დავეხმაროთ მათ. უფრო მეტიც — წინადადება შემომაქვს თითოეულმა პროფესიონალმა მსახიობმა, თუ რეჟისორმა — თეატრალური საზოგადოების წევრმა, თუნდაც იგი პენსიონერი იყოს, იკისროს ვალდებულება დაეხმაროს და ხელი შეუწყოს თვითმოქმედ თეატრალურ კოლექტივებს, ან იმ შემოქმედ-



ახლაგზრდობას, ვინც თავს გამოიჩენს ამ დარგში, რათა უფრო წინ წაგწიოს ჩვენი სახალხო ხელოვნების საქმე.

— საკითხი, რომელსაც ჩვენი ყრილობის ინიციატივამ, — აცხადებს კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტი, — ქართული თეატრის ბედის, მისი დღევანდელი მდგომარეობისა და ხვალისდღის დღის საკითხია. ეს საკითხი აინტერესებს და აწუხებს არა მარტო თეატრის მოღვაწეებს, არამედ ჩვენს მწერლობასაც, მიუღწევს ჩვენს ხალხს, რადგან ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი კულტურის მთელი ისტორიის მანძილზე სულიერი კულტურის არც ერთ დარგს არ მიუძღვის ისეთი დიდი ღვაწლი ჩვენი ერის წინაშე, როგორც მწერლობასა და თეატრს.

ჩვენ მეტად მძლავრი თეატრალური ხელოვნება გვაქვს, — დასძენს ანხ. ბ. ჟღენტი, — გვეყავს შესანიშნავი მსახიობები, რეჟისორები, ჩვენს თეატრში დიდი შემოქმედებითი ძალაა თავმოყრილი, რომელსაც არაერთხელ უსახელებია ქართული თეატრის როგორც ჩვენი, ისე ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც, მაგრამ ამით დიდ თვითმწყაფილებას არ უნდა მივიყუთო. დღეს ჩვენ ბევრი სერიოზული ნაკლოვანებები და შემოქმედებითი ხასიათის სიძნელეები გვაქვს. ჩვენმა ყრილობამ უნდა დარაზომოს მთელი ჩვენი თეატრალური საზოგადოებრიობა ახლ-ახალი წინამატების მოსაზოგებლად. აქ ბევრი იმეკვა იმაზე, რომ არც თუ ისე ცოტაა ჩვენი თეატრების რეპერტუარში თანამედროვეობის ამსახველი სპექტაკლები, მაგრამ საქმე რაოდენობაში როდია, საქმე მის ხარისხშია. შემდეგ ანხ. ბ. ჟღენტი გადადის რა თეატრისა და დრამატურგების ურთიერთობის საკითხებზე, მოუწოდებს ჩვენს მწერლობას მხარში ამოუდგეს ქართული თეატრს და მჭიდროდ შემოქმედებით განაგრძონ მუშაობა ქართული თეატრალური ხელოვნების შემდგომი აყვავებისათვის. ანხ. ბ. ჟღენტი აყენებს აგრეთვე საკითხს საკუთარი პრესისათვის თეატრალური ხელოვნების დარგში და კულტურის ისეთი კერისათვის, სადაც მწერლებსა და თეატრის მუშაკებს შესაძლებლობა ექნებათ ერთმანეთს შეხვდნენ და გაუზიარონ თავიანთი აზრები.

— ჩვენი ყრილობის მთავარი საგანია ქართული თეატრი, — აცხადებს საქ. სსრ კულტურ-

რის სამინისტროს ხელოვნების საქმეთა სახელმძღვანელო უფროსი ანხ. გრ. ფოფხაძე, — მართალია ბევრი მიღწევა აქვს ჩვენ თეატრებს უკანასკნელ წლებში, მაგრამ აქვს ბევრი სერიოზული ნაკლოვანებებიც. მაგ. მეტად რთული მდგომარეობაა კადრების დარგში რაიონულ თეატრებში, განსაკუთრებით რეჟისურის დარგში. ჩვენი რეჟისორები გაუზრბიან პერიფერიულ თეატრებში მუშაობას, მიუხედავად იმისა, რომ რეჟისორები საქმაო რაოდენობით გვეყავს. აღსანიშნავია, რომ ბევრი მსახიობი სრულიად არ არის დატვირთული. მაგ. ამა თუ იმ მსახიობმა თუ სეზონის განმავლობაში უნდა ითამაშოს 155-ჯერ, იგი გამოდის 7-ჯერ, არ არის კარგად დაყენებული აგრეთვე მაყურებელთა ორგანიზაციის საკითხი, ეს იმეკვს განსაკუთრებით რაიონულ თეატრებზე. მართალია, აბონემენტებს ავრცელებენ, მაგრამ დარბაზში ხალხი არ არის! ყველა ეს ნაკლოვანება დროულად უნდა იქნეს გამოსწორებული, რათა თეატრებმა იმუშაონ ნორმალურ შემოქმედებით ატმოსფეროში.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე რესპ. სახ. არტისტმა აკ. ფლავამ, ხელ. დამსახ. მოღვაწემ ელ. ახელედინამ, მწერალმა რ. ქორქიამ, აკადემიკოსმა ანგია ბოჭორიშვილმა; ხელოვნების მცოდნეობის კანდიდატმა ე. გუგუშვილმა და მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის მთავარმა რეჟისორმა, ხელ. დამსახ. მოღვაწემ მ. ოლმანეცკიამ და სხვ. ყრილობას მიესალმნენ — სრულიად-რუსეთის თეატრალური საზოგადოების სახელით გოკის სახ. მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობი ე. კვაჭაძე; სომხეთის თეატრალური საზოგადოების სახელით თეატრმცოდნე ა. ა. არაქსიანიანი, აზერბაიჯანის თეატრალური საზოგადოების სახელით — ხელ. დამსახ. მოღვაწე ა. ალექსანდროვი. უკრაინის თეატრალური საზოგადოების სახელით რესპ. სახ. არტისტი დ. მილიუტენკო და ნატალია გემდოვსკაია და საქართველოს უზრუნველყოფის კავშირის სახელით ელენა ლეონოვა პ. მგ. რედაქტორი ანხ. აკ. ძიძიგური.

ყრილობამ მიიღო დადგენილება, რომლის ცხოვრებაში გატარებაც ხელს შეუწყობს ჩვენი თეატრალური ხელოვნების შემდგომ განვითარებას, ყრილობამ აირჩია საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობა და საოვერზიო კომისია.

ნამუშევართა გამოშენა

9 მაისს, მოსკოვში, აქტიორთა ცენტრალურ სახლში, სსრ კავშირის მხატვართა კავშირის, სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოებისა და საქართველოს თეატრალური საზოგადოების ინციპიტივით გაიხსნა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ცნობილი საბჭოთა თეატრალური დეკორატორის, მხატვარ ირ. გამრეკელის ნამუშევართა გამოშენა.

ირაკლი გამრეკელის სახელს კარგად იცნობს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრიობა, ამის საწინდარი იყო ის, რომ გამოშენის გასსწავზე თავი მოიყარეს ვარდა საქართველოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისა, მოსკოვის თეატრალური საზოგადოებრიობის, დედაქალაქის შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებსაც და ხელოვნების მოყვარულებსაც. აქვე იყვნენ რეჟისორები, მხატვრები, კრიტიკოსები, უკრაინის, ლიტვის, სომხეთის წარმომადგენლები, ხელოვნების მუშაკები პოლონეთის სახალხო რესპუბლიკიდან.

აქტიორთა ცენტრალური სახლის ფოიეში წარმოდგენილი იყო ირაკლი გამრეკელის მიერ დიდი სიფაქიზით შექმნილი ესკიზები, მაკეტები, იყო აგრეთვე სტენდები, რომელიც ასახავდა მხატვრის შემოქმედებით გზას, აგრეთვე საქართველოს სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის მიერ გამოშენისათვის შესრულებული მხატვრის პორტრეტი, ცოცხალი ყვავილებით. ასეთ საზეიმო თბილ ვითარებაში გაიხსნა ირაკლი გამრეკელის გამოშენა მოსკოვში და ყველაფერი ეს იყო არა მარტო ირ. გამრეკელის არამედ საერთოდ ქართული საბჭოთა თეატრალური მხატვრობის საუკეთესო მიღწევაა—ფართო პროპაგანდის შესანიშნავი ღონისძიება.

გამოშენა გახსნა სრულიად-რუსეთის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ ნ. საპეტოვმა.

დღეს, ჩვენ, თქვენთან ერთად, სთქვა მან.

თავი მოცივარეთ შესანიშნავი მხატვრის ირაკლი გამრეკელის გამოშენაზე.

ირაკლი გამრეკელი არის მეტად ნიჭიერი და ორგინალური მხატვარი, იგი ერთ-ერთი ფუძემდებელია ქართული თეატრალური დეკორატიული ხელოვნებისა. მაგრამ ირაკლი გამრეკელი არა მარტო საქართველოს მხატვარია, არამედ ჩვენი ქვეყნისა, მას კარგად იცნობს, პატივისცემით და სიყვარულით მოსაყვს მთელი საბჭოთა ხალხი.

როგორც მხატვარი, ირაკლი გამრეკელი ყალიბდებოდა ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პერიოდში, საბჭოთა წყობილების დამყარების პირველ წლებში, როდესაც მიმდინარეობდა მძაფრი ბრძოლა ახალი ხელოვნების მშენებლობისათვის.

ირაკლი გამრეკელი, როგორც მეტად ნიჭიერი, ტემპერამენტაინი, ბოძოქარი მხატვარი მიდიოდა ხელოვნებაში თავისი საკუთარი მეტად რთული გზით, გზით რომელიც იყო ძიება რეალისტური მეთოდებისა,

ძიებათა დროს ირაკლი გამრეკელმა გარკვეული ხარკი გადაუხადა ფორმალისმს და ესტეტიურ გატაცებებსაც, მაგრამ მაღელ შეიგრძნო, რომ ფორმალური ენა ხელოვნებისა, ეს არის მცდარი ენა ხელოვნებაში, ეს არ არის მისი გზა და მას არ ძალუძს გამოხატოს ცხოვრების სიმართლე, მისი პოეზია, მისი სინამდვილე, რომ ამგვარი ხელოვნება უცხოა საბჭოთა ხალხისათვის, ამგვარი ხელოვნება არ არის გამოვლინება მისი ნიჭისა და შინაგანი არსისა. მხატვარი მტკიცედ დგება სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე.

ირაკლი გამრეკელს გააჩნდა შესანიშნავი თვისება, ღრმად განეჭვრიტა დრამატურგია, მას ჰქონდა მეტისმეტი ფაქიზი დამოკიდებულება თეატრალურ ხელოვნებასთან. მან შესანიშნავად იცოდა და გრძნობდა თეატრალური ხელოვნების არსსა და ამავე დროს აქტიორის ოსტატობას.



ირაკლი გამრეკელის შემოქმედებამ გაამდიდრა ქართული თეატრალური ხელოვნება და საერთოდ მთლიანად საბჭოთა თეატრალური ხელოვნება, ჩენი საბჭოთა კულტურა.

სიტყვებით გამოვიდნენ სსრ სახალხო არტისტი დ. ალექსიძე, სსრ კავშირის მხატვართა კავშირის სახელით, მხატვარი ი. პიმენოვი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი გ. ტოვსტონოგოვი, მხატვარი ბ. კნობლოტი, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. თუმანიშვილი, ცნობილი კრიტიკოსი ბ. ჟღენტე.

დღეს მეტად მღელვარე დღეა, ჩემის აზრით ზველა იმათთვის, ვინც უშუალოდ მუშაობდა ისეთ შესანიშნავ ხელოვანთან, თეატრის ასეთ ბუმბერაზ მხატვართან, როგორიც იყო ირაკლი გამრეკელი. ასე დაიწყო თავის გამოსვლა დ. ალექსიძემ. იგი არა მხოლოდ მეტად ნიჭიერი და თავის საკუთარი ხელწერის მქონე მხატვარია. იგი ჩვენთვის ძვირფასი როგორც ერთ-ერთი ფუნდამენტელი ქართული პროფესიონალური საბჭოთა თეატრისა. ეს ის მხატვარია, რომელიც გვერდში ამოუდგა ისეთ ბუმბერაზ ხელოვანს, როგორიც იყო კოტე მარჯანიშვილი, პირველი მისი სპექტაკლები იქმნებოდა ამ დიდ ხელოვანთან ერთად. ისეთი სპექტაკლი, როგორიც იყო „ჰამლეტი“.

შეუძლებელია მოაზირო რუსთაველის სახ. თეატრს ირაკლი გამრეკელის სახელი. იგი იყო სული და გული თეატრის, იგი სუნთქვავ თეატრის. როდესაც უყურებ ესკიზებს „შესრულებულს“ „უჩაღების“, „ლამარას“, „ანზორის“ სპექტაკლებისათვის, გესმის, რომ ეს არის მთელი ეპოქა ქართული თეატრის განვითარების ისტორიაში, და არა მარტო ქართული თეატრის, არამედ საბჭოთა თეატრის და უფრო მეტად მე ვიტყვი მსოფლიო თეატრის. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დიდი ხანი არ არის რაც ამერიკიდან მივიღეთ წერალი, სადაც გვთხოვდნენ ნებართვას, რათა ქართველი მხატვრის ირ. გამრეკელის ესკიზი ამერიკის „თეატრის ისტორიაში“ შეიტანონ. ეს არ არის შემთხვევითი ამბავი, ირ. გამრეკელი არის დიდი ორგინალური თეატრალური მხატვარი. და დღეს, როდესაც

ჩვენ ვლაპარაკობთ თეატრალობაზე, თეატრალურ სიმართლეზე და პირობითობაზე — შემოქმედება ირ. გამრეკელისა, ყველაზე კარგი დემონსტრირებაა, თუ როგორი უნდა იყოს თეატრი. სწორედ ეს არის ნამდვილი თეატრი. ეს თეატრი არის სოციალისტურ-რეალისტური და ამავე დროს მაღალი მხატვრული დონის თეატრი, თეატრი ფრთაშესხმული, დიდი თეატრი დიდი აზრების, თეატრი დიდი გულის, თეატრი დიდი სუნთქვისა და ჰუმანურობის. დეკორაციები მისი მონუმენტურია, მაგრამ აღამიანი არ იკარგება, მხატვარი მაღლა სწევს აღამიანს აკეთილშობილებს, ირ. გამრეკელის დეკორაციები დიდ გასაქანს აძლევს რეჟისორისა და მსახიობის ტალანტს, შემთხვევითი არ არის, რომ ს. ახმეტელის დიდგამარჯვებანი დაკავშირებულია ამ შესანიშნავ მხატვართან.

მე წილად მხვდა ბედნიერება მემუშავა ირაკლი გამრეკელთან. ჩემი პირველ სადიპლომო სპექტაკლს აფორმებდა ირ. გამრეკელი. უკანასკნელი ჩემი ნამუშევარი კომედია გოლდონის „საპატარძლო აფიშით“ ირაკლი გამრეკელსვე ეკუთვნის.

დასასრულს ნება მიბოძეთ საქართველოს თეატრალური საზოგადოების, ქართველი თეატრალური საზოგადოებრიობის, რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივისა და ირ. გამრეკელის ოჯახის სახელით მადლობა გადაუხადო ყველა ამ დიდი საქმის, მეგობრებს, რომლებმაც კოლონალური ენერჯით, დიდი სიყვარულით, დიდი ყურადღებით და მოკრძალებით მოაწყვეს ეს გამოფენა ყველა ჩვენთაგანისათვის, საბჭოთა ხალხისათვის.

ამ გამოფენის გახსნა დიდი ზემოა, ამ შესანიშნავი მხატვრის ხსოვნისათვის და ძალიან დიდი გაკვეთილი ახალგაზრდა მხატვრებისათვის, და არანაკლები ძველი თაობის მხატვრებისათვის და ყველა ჩვენთაგანისათვის.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. ი. პიმენოვი.



დღეს სრულიად-რუსეთის თეატრალურ საზოგადოებაში იხსნება მეტად საინტერესო და მეტად ლაშაზი გამოფენა. მე ვფიქრობ, რომ ირ. გამრეკელი არის ნამდვილი მხატვარი და სწორედ ნამდვილი თეატრალური მხატვარი. მის შემოქმედებაში თეატრი იგრძნობა მთელი თავისი დიდი გავებით. ეს მხატვარი შესანიშნავად გრძნობს სივრცეს და მე მგონია, რომ მსახიობი შესანიშნავად მოძრაობდა და ცხოვრობდა ამ დეკორაციებში, ხოლო მათურებელი კი აღტაცებული იყო ამ სანახაობით.

ჩემის აზრით, ამ მხატვრისაგან ბევრი რა-მის სწავლა შეიძლება, რაზედაც აქ უყვე ითქვა, როგორც ახალგაზრდა ისე უფროსი თაობის მხატვართათვის: სილაშაზის გრძნობის დიდი გავება სცენაზე, სივრცის შეგრძნება! ეს კეშმარითად დიდებული ხელოვნებაა.

მე ვფიქრობ, რომ გამოფენას ექნება დიდი წარმატება, იმათთვის ვისაც უყვარს თეატრი, ვისაც უყვარს ხელოვნება, და ეს იქნება კიდევ ერთი სკოლა დიდი ხელოვნებისა.

სიტყვით გამოვიდა აგრეთვე სრუ სახალხო არტისტი გ. ა. ტოვსტანოვოვი:

მე მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა ირაკლი გამრეკელზე, ჩემი პირადი ბიოგრაფიიდან, ჩემი თეატრალური შემოქმედებითი ახალგაზრდობა მიმდინარეობდა საქართველოში და შესაძლებელია ჩემს ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ მასწავლებელთაგანი იყო სწორედ ირაკლი გამრეკელი, შესაძლებელია თვითონაც კი არ ჰქონდა ეს გააზრებული, იგი ისე ძალიან ბევრ რამეში განაპირობებდა სტილს, მოძრაობას თეატრში, რომ ამდღევდა ტონს და გემოვნებას. მე ბევრ რამეში მისით დავალბებული და მადლობელი ვარ. ირ. გამრეკელი იყო ძალიან ღრმა და ფაქიზი ადამიანი, დღესაც უყურებ რა მის ექიბებს, გრძნობ, კვლავ მღელვარებას.

მე მინდა შევეხო კიდევ ერთ საკითხს, მართალია მეტად ინტიმურს, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანს, რა შესანიშნავია, რომ დღეს ეს ესკიზები მოვლილი და შემონახულია. ჩვენ შეგვიძლია ამისათვის დიდი მადლობა გადაუხადოთ მის მეუღლეს და ახლობლებს, რომელთაც ასე შესანიშნავად შეინახეს და მოუარეს მხატვრის მემკვიდრეობას!

მე ვიმედოვნებ, რომ მემკვიდრეობა ირ. გამრეკელისა დღეიდან კიდევ უფრო მეტად შევა ჩვენი თეატრის ცხოვრებაში, ახალგაზრდა მხატვართა და რეჟისორთა თაობათა

ცხოვრებაში, რომელთაც უნდა იცოდნენ შეისწავლონ მისი შემოქმედება, ვინაიდან ამ ტრადიციათა შენარჩუნების გარეშე შეუძლებელია ნამდვილი ხელოვნება. ამ სიტყვებით დასასრულა თავისი გამოსვლა გ. ა. ტოვსტანოვოვმა.

როსტრ სახალხო არტისტი ი. მ. თუშანოვმა სთქვა: დღეს ჩემს მიზანს არ შეადგენს თავი შეგაწყინოთ დიდი მოხსენებით, მე შემიძლია მხოლოდ ვთქვა დიდი გულწრფელი მღელვარებით, რომ ირ. გამრეკელის შესანიშნავმა გამოფენამ კიდევ ერთხელ მოგვაგონა ის შესანიშნავი პერიოდი ქართული თეატრის, როდესაც იგი შემოქმედებითად ყალბდებოდა დამოუკიდებელ თეატრად, ნაციონალურ თეატრად, ახალ გზებს ისახავდა და მაგალითს აძლევდა მთელ საბჭოთა თეატრებს.

სრულიად გასაგებია, რომ დღევანდელი გამოფენა დიდი ზემოა საქართველოსათვის. მე ვიცი, რომ ბევრი ცნობილი თეატრალური მოღვაწე დიდი მადლიერების გრძნობით იტყვის ამ დღეზე, როდესაც გაიხსნა ირ. გამრეკელის გამოფენა სრულიად-რუსეთის თეატრალური საზოგადოების კედლებში.

მეგობრებო არც ერთ შესანიშნავ მონოგრაფიას,—დაიწყო თავისი გამოვლენა მხატვარმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ბ. გ. კნობლოკმა,—არ ძალუძს ისეთა შთაბეჭდილება მოახდინოს როგორც მოახდინა გამოფენამ. არც ერთ ესკიზს, რომელიც გამოფენილია მუზეუმის დარბაზში, არ შეუძლია ისეთი შთაბეჭდილების მოხდენა როგორც მხატვრის შემოქმედების ასეთ დიდ თავმოყრას. იგი სრულად ხატავს ნიჭიერი მხატვრის შემოქმედებით სახეს, მხატვრისა, რომელმაც გადაუხადა ვეებერთელა ხარკი საბჭოთა თეატრს, ნაციონალურ თეატრს. ამ გამოფენამ ისე ემოციონალურად წარმოადგინა ამ ნამუშევართა შემქმნელი, რომ იგი სიმედამოდ დარჩება იმა გულში, ვინც კი ერთხელ მანც იხილავს გამოფენას.

ჩემის აზრით, ამ გამოფენის დაშლა შეუძლებელია, იგი უნდა შეივსოს იმ მიზნით, რომ საქართველოს, თბილისში არსებობდეს მუდმივი ექსპოზიცია ამ შესანიშნავი ნიჭიერი მხატვრისა.

დასასრულს სიტყვით გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, ცნობილი კრიტიკოსი ბესარიო ჟღენტი.

დიდი მადლობის გრძნობით, ნაციონალური სიამაყის გრძნობით აღვნიშნავთ საქარ-

თველოს ინტელიგენციის წარმომადგენლები ამ დღეს, რომელიც არის ბრწყინვალე გამოვლინება მეგობრობისა ხალხთა შორის ხელოვნების სფეროში, რომლის განვითარებასა და გაღრმავებაში ჩვენ ყველანი დანტერესებულნი ვართ. ირაკლი გამრეკელი არის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი საბჭოთა ხელოვნებისა. ეს ის ხელოვანია, რომელმაც დაიკავა ერთ-ერთი პირველთაგანი ადგილი ჩვენი ნაციონალური კულტურის ჩამოყალიბებაში.

მსოფლიო თეატრის ისტორიაში მე არ ვიცი თუ სხვა ისეთ მხატვარს, რომელსაც იმდენად დიდი როლი შეესრულებინოს თავისი ხალხის თეატრალური კულტურის განვითარებაში, როგორც ირ. გამრეკელმა შეასრულა ქართულ საბჭოთა თეატრის ისტორიაში.

და თუ დღეს ჩვენ საქართველოში ვამაყობთ ნაციონალური თეატრის განვითარებით, ამით ჩვენ დავალბებულნი და მადლობელი ვართ ირაკლი გამრეკელით.

ჩვენ მეტად მოხარულნი და ბედნიერნი ვართ, რომ ეს ბრწყინვალე ხელოვნება შესანიშნავი მხატვრისა, რომელიც არის გამოხატულება ქართულ დეკორაციულ მხატვრობის ეროვნულ ბუნებისა და ამავე დროს

ინტერნაციონალურია, დღეს ჩვენდა ყოთ წარმოდგენელია მოსკოვის საზოგადოებრიობის წინაშე.

ამ გამოფენის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ არა მხოლოდ ჩვენი თეატრის ისტორიაზე, არამედ შეიძლება ვიმსჯელოთ ჩვენს ნაციონალურ კულტურაზეც.

მე კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვუხდით ამ გამოფენის ორგანიზატორებს და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ფაქტი იქნება კიდევ ერთი ფურცელი რუსეთისა და საქართველოს კულტურულ ურთიერთობის მეგობრობის ისტორიაში, რომელსაც გააჩნია შესანიშნავი მრავალსაუკუნოანი ტრადიციები. დაასრულა თავისი გამოსვლა ბ. ჟღერტმა.

მოსკოვში გამოფენა 20 დღეს გაგრძელდა, მთელი ამ ხნის განმავლობაში გამოფენისადმი ინტერესი არ შენეებულა.

მოსკოვის შემდეგ, 7 ივნისს გამოფენა მოეწყო ლენინგრადში ხელოვნების მუშაკთა სახლში, რომელიც გაგრძელდა 5 აგვისტომდე, ლენინგრადშიც ირ. გამრეკელის გამოფენას დიდი წარმატება ხვდა წილად.

გამოჩენილი ქართველი მხატვრის ირ. გამრეკელის ნამუშევართა გამოფენა მოსკოვსა და ლენინგრადში სეროიზული კულტურული მოვლენაა.

მოზარდ მაცურებელთა თეატრების საკავშირო დათვლიერება, რომელიც მიმდინარე წლის აპრილ-მაისში ჩატარდა, მიედგნა პიონერული ორგანიზაციის 40 წლისთავს. დათვლიერებაში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის 32 თეატრი, აქედან კი მხოლოდ ცამეტმა მიიღო საპატიო უფლება ჩვენებინა თავისი ხელოვნება მოსკოვში. ერთ-ერთი ამ ცამეტთაგანი მოზარდ მაცურებელთა ქართული თეატრი იყო.

დათვლიერების I და II ტურები ადგილზე მოეწყო. მესამე ტურში მონაწილეთა შესარჩევად თბილისის ესტუმრა მოსკოვის სპეციალური კომისია, რომელშიც შედიოდნენ: მოსკოვის მოზარდ მაცურებელთა თეატრის მთავარი რეჟისორი ბ. გოლუმოვსკი, ცენტრალური საბავშვო თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე ი. პუტინცევი, სრულიად-რუსეთის თეატრალური საზოგადოებს საბავშვო თეატრების კაბინეტის გამგე მ. პუკშანსკაია, კრემლის თეატრის დირექტორის მოადგილე გ. სტროვი და სსრკ კულტურის სამინისტროს თეატრების განყოფილების ინსპექტორი ს. ეფიმოვი. კომისიამ თავისი აზრები შეაჩერა ორ სპექტაკლზე — ა. ყაზბეგის „ციციაზე“ და თეატრის ახალ დადგმაზე ვ. გოგოლაშვილის „წეროებზე“, რომელმაც განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.

სულ მალე თეატრს ოფიციალურად აცნობეს, რომ მას უფლება ეძლევა ესტუმროს მოსკოვის და კრემლის თეატრის სცენაზე წარმოადგინოს ვ. გოგოლაშვილის „წეროები“, ხოლო მოსკოვის სამხატვრო თეატრის ფილიალის სცენაზე კი ა. ყაზბეგის „ციცია“. ამ ცნობის მიღება მით უფრო სასიხარულო იყო, რომ საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ თეატრს აღუთქვა მატერიალური დახმარება და საგასტროლო მოგზაურობის დაფინანსება. მოზარდ მაცურებელთა ქართული თეატრის გასტროლები მოსკოვში მრავალმხრივ საპასუხისმგებლო აღმოჩნდა, და ამიტომ გასაკვირი არაა, რომ

თეატრის კოლექტივი უჩვეულო მიღწევარებას განიცდიდა.

თეატრს აცილებდნენ ნორჩი მაცურებლები, მსახიობები, და ყველანი ერთხმად შემოქმედებით წარმატებებს უსურებდნენ. ჯერ კიდევ გულთბილი გაცილების შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდნენ ქართველი მსახიობები, რომ მათ ახლა უკვე მოსკოვის ვაგნალზე მოუწყეს შეხვედრა დედაქალაქის თეატრალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა და მოსწავლეებმა. იგივე გამეორდა 18 მაისს ქართული ხელოვნების წარგზავნილთა სპექტაკლების დაწყების წინ. მიმატიებდა სკოლებში, ყვავილები. კეთილი სურვილები — ყველაფერმა ამან მეტი ძალა და ხალისი შეჰმატა თეატრის შემოქმედებით კოლექტივს.

18 მაისს ორჯერ (დილით და საღამოს) გაიხსნა კრემლის თეატრის ფარდა, რომელიც მაცურებლებს აუწყებდა სპექტაკლ „წეროების“ დაწყებას. სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. გამსახურდიამ, მხატვრულად გააფორმეს ო. ქოჩავიძემ, ა. სლავინსკიმ, ი. ჩიკვაძემ, მუსიკა დაწერა — ს. ნასიძემ, ქორეოგრაფი დ. მაჭავარიანი. ეს პოეტური თხრობა იაპონელი გოგონა ისიკოს შესახებ, რომელიც სხიფურმა ავადმყოფობამ იმსხვერპლა. მის ტანჯულ ცხოვრებასა და სიკვდილზე გვიამბოს ისიკოს მწუხარე სევდიანი, მაგრამ ჭირში თავშეკავებული დედა მორიამა. სპექტაკლის დასაწყისში და ფინალში იგი მიმართავს ადამიანებს, მოუწოდებს მათ ბრძოლისაკენ, რათა არც ერთმა ბავშვმა მთელ მსოფლიოში აღარ განიცადოს ისეთი საშინელი ტკივილები და ტანჯვა, როგორც პატარა ისიკომ. და ბოლოს დამწუხრებული მორიამა ადამიანებს უსასოვრებს ისიკოს მიერ ქალღმერთადან გამოჭრილ თეთრ წეროებს, როგორც სიკეთის, ბედნიერების და ახალგაზრდა თაობის ნათელი მომავლის სიმბოლოს.

სპექტაკლის ლაქონიურმა მხატვრობამ, კე-



თილზიანი, ხატოვანი მუსიკამ, საინტერესო რეჟისორულმა გადაწყვეტამ და აქტიორულმა შესრულებამ იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც მსურველებზე, ისე დათვალიერების ვიურის წევრებზე, რომ სპექტაკლის დამთავრებისთანავე კრემლის თეატრის არტისტულ ფაიფში გაიმართა ახრის და შთაბეჭდილებაზე გაცხოველებული გაცვლა-გაზიარება. ყვილანი ერთხმად და ამავე დროს გულწრფელად ულოცავდნენ ქართულ ხელოვნან შემოქმედებით წარმატებას. ამადღვემელი სპექტაკლის შექმნას, ნიჭიერ აქტიორულ შესრულებას. ქების პირველ სიტყვებს ისინი უძღვნიდნენ რუსუბლიკის დამსახურებულ არტისტებს ლეილა ძიგრაშვილის და ეთერ სიხარულიძეს, — მორიამას და ისიკოს როლების შემსრულებლებს.

ტრადიციის მიხედვით, კრემლის თეატრის სცენაზე წარმოდგენილი საუკეთესო დადგმების აფიშები სპექტაკლის შემქმნელთა ავტოგრაფებით თეატრში ინახება. „წეროების“ აფიშა ა. გამსახურდიას, ვ. გოგოლაშვილის, ლ. ძიგრაშვილის, ე. სიხარულიძის და სხვ. ხელომწერით შეავსებს თეატრის ამ არამრავალრიცხოვან კოლექციას.

„წეროებმა“ მალე გაითქვეს სახელი დათვალიერების მონაწილეთა შორის, როგორც საინტერესო სცენიურთა ქმნილებამ. მისალმებებში, შეხვედრებზე, რეცენზიების დასათაურებაში ხშირად სარგებლობდნენ სპექტაკლის სახელწოდებით და ამბობდნენ „ეთერი ფრთამაღს წეროებმა“. „წეროები მიფრინავენ დაბაზში“, „სამხრეთიდან მოფრენილი წეროები არწივები აღმოჩნდნენ“ და სხვა.


21 მაისს მოსკოვის სამხატვრო თეატრის ფილიალის სცენაზე ქართულმა მსახიობებმა წარმოდგინეს ა. ყაზბეგის „ციცია“, რომელიც ისეთი აღმაფრენითა და ტემპერამენტით იქნა შესრულებული, რომ მას ამავე სპექტაკლის პრემიერა თუ შეედრებოდა თბილისის სცენაზე.

წარმოდგენებიდან თავისუფალი დრო დაეთმო შეხვედრებს მოსკოვში გასტროლებზე მყოფი მოზარდ მსურველთა სხვა თეატრების კოლექტივებთან და დედაქალაქის მოსწავლეებთან. განსაკუთრებულად დასამახსოვრებელი იყო შეხვედრები 457 და 755 სკოლების მოსწავლეებთან. ზოგიერთ მათგანს ხელში ეჭირა სპექტაკლიდან შემონახული თეთრი ქაღალდის წეროები, ზოგს კი გაე-

კეთებინა მიზანსცენების და ცალკეულ სრულებელთა ჩანახატები, უშუალო, შინაშე, მაგრამ უაღრესად საინტერესო და თავისებური. რაც შეეხება 755 სკოლის მოსწავლეებს, მათ ქართული ხელოვნების მუშაკთა გაოცება და მადლობა დაიმსახურეს. სკოლაში შექმნილი ანსამბლი „საქართველომ“ დიდი მონდიობითა და ნაწვდელი ოსტატობით შესრულა ქართული ხალხური ცეკვები. სულ მალე მადლიერმა ქართველმა სტუმრებმა თავი ვეღარ შეიკავეს და შეუერთდნენ მასპინძლებს. მხიარულება საყოველთაო გახდა. სცენაზე სტუმრები მასპინძლებს სცვილდნენ, გონებაშახვილურ კონფერანსს, — თვით შემსრულებლები. სიმღერებს, ცეკვებს აცხადებდნენ ისეთი უშუალოებით, როგორც არც ერთ ოფიციალურ კონცერტზე. როდესაც მოსწავლეებმა „ციციანთელა“ წამოიწყეს, ქართველმა მსახიობებმა ბანი მისცეს, აჰყვნენ მათ და ეს პოპულარული სიმღერა იმ დღეს განსაკუთრებული სიღალბითა და საზეიმოდ აუღერდა.


სპექტაკლმა „წეროებმა“ სატელევიზიო თეატრის რამზის სინათლეც ნახა, იგი ტრანსლირებული იყო მოსკოვის ტელეხედვის მიერ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოვის ტელეხედვის პროგრამაში გათვალისწინებული იყო დათვალიერებაზე წარმოდგენილი მხოლოდ ორი სპექტაკლის ჩვენება. ესენი იყვნენ ქართული „წეროები“ და ნოვოსიბირსკის მოზარდ მსურველთა თეატრის ნამუშევარი — „ტრისტან და იზოლდა“. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ მოსკოვის ტელეხედვის საბავშვო გადაცემათა რედაქციის შემოქმედებითა კოლექტივმა დიდი მონდომებითა და სიფრთხილით მოამზადა და განახორციელა ეს ტელესპექტაკლი.

დათვალიერების დამთავრების შემდეგ გაიმართა კონფერენცია, რომელმაც შეაჯამა დათვალიერების შედეგები. „წეროები“ აქაც ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. კონფერენციაზე ძირითადი მოხსენებით გამოსულმა, საკავშირო კულტურის სამინისტროს თეატრების განყოფილების გამგემ ახ. ვ. ოსიპოვმა სპექტაკლ „წეროებს“ „დათვალიერების მშენებმა“ უწოდა.



მოზარდ მაყურებელთა თეატრების საკავშირო დათვლიერების ჟიურიმ (თავრე ნ. ოხლოპკოვი) ქართულ მოზარდ მაყურებელთა თეატრს მიანიჭა პირველი ადგილი და პირველი ხარისხის დიპლომი. ეს ჯილდოთბილისელებმა გაიყვეს მოსკოვის სამი თე-

ატრის, სარატოვის და ლატვიის მოზარდ მაყურებელთა თეატრების კოლექტივებთან. ასე რომ ქართული ხელოვნების მუშაკები მოსკოვიდან ხელცარიელნი არ დაბრუნებულან, რითაც გაახარეს თეატრის მეგობრები და პატივისმცემელნი.





«მედეიას» გარემო

ამ ბოლო წლებში ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში ფართოდ დამკვიდრდა სპექტაკლის მაყურებელთან ერთად განხილვის სასარგებლო პრაქტიკა. მაყურებელთან ერთად სპექტაკლების საჯარო განხილვა დიდად უწყობს ხელს თეატრისა და ხალხის ფართო წრეების ურთიერთ დაახლოვებას. ასეთ განხილვებზე მაყურებლები თეატრის მუშაკებს უზიარებენ უშუალო შთბეჭდილებებს, აძლევენ სასარგებლო, საჭირო შენიშვნებს და გამოსთქვამენ თავიანთ ცალკეულ სურვილებს წარმოდგენის ირგვლივ.

ეს ეხმარება თეატრის ხელმძღვანელებს, დროულად მიხედნენ თუ საით, როგორი სანახაობისაქენ მიიღტვიან თანამედროვე მაყურებლები, რა იზიდავს, აღელვებს და აღაფრთოვანებს მაყურებლის აზრებს და გრძნობებს, როგორია მათი წარმოდგენა ნამდვილ თეატრალურ ხელოვნებაზე, რა პრეტენზიებს უყენებენ ისინი თეატრის მუშაკებს და სხვა.

ასეთ განხილვებში, როგორც წესი, მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა პროფესიისა და ეროვნებათა წარმომადგენლები, რომელთა აზრის გათვალისწინება უადვილებს თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელობას მაყურებელთა კულტურული მომსახურების საქმეს.

ამ მხრივ მეტად საინტერესო იყო საქართველოს თეატრალური საზოგადოებისა და კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრის ინიციატივა, როცა მათ კ. მარჯანიშვილის თეატრის შენობაში ევრიბიდეც „მედეიას“ ჩვენების შემდეგ მოაწყვეს ამავე დადგმის საჯარო განხილვა.

განხილვა მოეწყო მაყურებელთა დარბაზში, საღამო შესავალი სიტყვით გახსნა და აღნიშნული დადგმის მნიშვნელობის შესახებ მოკლედ ილაპარაკა საქართველოს. თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, მწერალმა-დრამატურგმა მ. მრეველიშვილმა.

ვრცელი, შინაარსიანი მოხსენებით გამოვიდა თეატრმცოდნე ნოდარ გურაბანიძე.

მომხსენებელი ფართოდ შეეხო ევრიბიდეცსა და საერთოდ ანტიკური დრამატურგიის თავისებურებებს, განმარტა პიესის იდეური და სოციალური პრობლემატიკა და აღნიშნა ის მიღწევები, რომელიც ქართულ თეატრს გააჩნია ანტიკური კლასიკური დრამატურგიის სცენური განხორციელების გზაზე.

ქართულ თეატრს,—ამბობს მომხსენებელი,—ყოველთვის ახასიათებდა მისწრაფება ტრაგედიის მაღალი ჟანრისაკენ, ეინადან ქართული მსახიობებისა და რეჟისორების ბუნებრივი ნიჭი პლასტიკური გამოსახვის შესაფერ წიალს პოულობდა მასში. სოფოკლემ მრავალჯგის გამხდარა ჩვენი თეატრების ჭეშმარიტი შთაგონების სათავე, მაგრამ ევრიბიდეც მისთვის „აღმოსაჩენი“ იყო. და აი, კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრმა არჩილ ჩხარტიშვილის რეჟისორობით და ევრიბიდეც ანჯაფარიძის შესრულებით წარმოადგინა ევრიბიდეცს ერთ-ერთი ყველაზე მძაფრი და ძლიერი ტრაგედია — „მედეია“.

ცხადია, ბერძნულ ტრაგედიათა შორის მოიძებნება „მედეიაზე“ უფრო ღრმა და მაღალმხატვრული ნაწარმოები, მაგრამ სხვა არც ერთი არ იძლევა იმდენ საშუალებას შეტანილი იქნეს მასში ქართული განცდები, ქართული ხასიათი და ბოლოს, თანამედროვე ცხოვრების შედეგად აღძრული მწვავე საკითხები, როგორც ეს ტრაგედია.

კორინთოში გადმოხვეწილ კოლხ ქალში იაზონის დალატის შემდეგ იღვიძებს შურისძიების აულაგმავე ქარიშხალი, რომელმაც ყველაფერი უნდა წაღკოს და დაამსხვრიოს. მედეიაში უძლიერესი სიყვარულის შედეგად წარმოიშვა ასევე უძლიერესი მძულვარება და ამ ორ ვნებას შორის მთელი ტრაგედიის მანძილზე სწარმოებს ბრძოლა. სპექტაკლ „მედეიაში“ სრული ძალით არის გამოლიო რეჟისორ არჩილ ჩხარტიშვილის მრავალმხრივი ტალანტი. იშვიათია სპექტაკლი, სადაც



ასე იყოს ურთიერთ შეწყობილი მოლიან პლასტიკურ ნახატში (ჯერ მარტო ამის შექმნას უნდა განსაკუთრებული რეჟისორული ხილვა) წინაგანი, უწყვეტი ნუსხიკალობაც და სცენურ სიერცემი ფერების ისეთი განლაგებაც, როცა მარტო ესეც კი ქმნის ემოციურ შთაბეჭდილებას ორ უკიდურეს ემოციურ წერტილს შორის განმარტოებით, თითქოს უფსრულის პირად მდგარ კედლებზე, ხელაპყრობილი მედეიას განწირული კვილი და მისი უკანასკნელი მღვწიარე გაქვავებული სახით ვამოსვლა ადამიანური ენებების, სიყვარულის, სასოწარკვეთის, გააუთრების, დაცემისა და აღზვიების მძაფრო სურათებია გაშლილი. მთელი სპექტაკლი აღიქმება, როგორც მუსიკალური მისტერია—პატეიკურ დასაწყისის სცენის ელემენტური სვედით გამსჭვალული სცენები, ქოროს მოძახილს მედეიას ხან შრისხანე, ხან მოალერსე ხმა, ქოროს დრამატიზირებულ რეიტატივებს, როგორც ანტი-ფონური მლოდია, ისე პასუხობს მედეიას მოთქმა, ტონების ეს მონაცვლეობა ატმოსფეროს მერყევისა და დაძაბულის ხდის, მასში განუხრებლად იკრძნობა მედეიას ტრაგიკული ბედის დასასრულის მოახლოება.

ქორინთელი ქალების ჯგუფი თეთრ კოსტუმებში შემოსილი გამოდის. შავ ფონზე მსუბუქი სამოსი თეთრი იალქანებით გაიშლება, რომლის პირდაპირ აღმართულია შავად შემოსილი მედეია. ეს ფერი ძლიერი, გამომწვევია, იგი ებრძვის ქოროს უწყინარ სიმშვიდეს... მედეიას შავი კოსტუმი და მოფრიალე შავი თავსაბური ხან ერწყმის ქოროს თეთრ ფონს, და მაშინ თითქოს წყნარდება ქალის სულში ამტყვადარი ქარიზმალი, ხან უცებ გამოეყოფა მას და ეულად განაგრძობს მოქმედებას და ამით ხელახლა აღვიძებს მოვლემარე ბედისწერას.

თანდათანობით მედეია ექცევა ქოროს გავლენის ქვეშ, მისდამი თანაგრძნობით იმსჯელება და ასე თანდათანობით იცვლება მისი სამოსის ფერიც, იგი თეთრიდან გადადის ტერაკოტზე და ბოლოს შავზე. ფერების ეს სიმფონია კიდევ უფრო აძლიერებს შთაბეჭდილებას.

ცნობილია, რომ ქოროს როლი ევრიპიდედსთან ძალზე შემცირებულია, იგი მოქმედებაში არ ღებულობს მონაწილეობას და მხოლოდ კომენტარიებით არის შემოფარგლული. არჩილ ჩხარტიშვილის რეჟისორული ტემპერამენტით ვერ მოითმენდა ქოროს პასიურობას და კომპოზიციების სტატიურობას, გამო-

ზომილ, ნახევრად რიტმულ მოძრაობას. აქ მან იპოვნა შესანიშნავი გამოსავალი. ერთის მხრივ ქორო ამ სპექტაკლში თითქოს მედეიას მშფოთვარე სულის „თეთრი ანარეკლია“ და ამიტომ გმირის განწყობილებათა ცვლის დროს ახალ-ახალ პლასტიკურ სახეებს იღებს, და მეორეს მხრივ მისი მოსარჩულე და მეგობარია. რეჟისორი ქოროს საშუალებით ქმნის პატეიკურს, შინაგანი დრამატიზმით აღნავსე კომპოზიციებს. თუ ევრიპიდე მთავარი გმირის სულიერ ცხოვრებას ხატავს, არჩილ ჩხარტიშვილმა ქოროს სულიერი მოძრაობაც გვიჩვენა. თითქოს ქოროს გოგელი წვერი თავს გრძობს სპექტაკლის მებრად და ამაში იღებს სათავეს პლასტიკური სურათის მთლიანობა, მისი კომპოზიციური სიმწყობრე, საერთო ნახატის რიტმი. მსმხობიბი ქალები (განსაკუთრებით ეს ითქმის ელ. ყფშიძეზე და ზ. იოსელიანზე) რიტმისა და ხაზის ელსტეურობის გრძნობით არიან სასე—ხოლო მათ გულწრფელობას ტონს აძლევს ქორეტი დორო ქვიჩინაძე—რომელიც პირველი, უშუალოდ განიცდის მედეიას ბედს. პლასტიკურ ნახატს იწყებს, თითქოს ნიშანს აძლევს ქოროს, მუდამ იმყოფება მედეიას სულის ჰალვანიზაციის ქვეშ და ემოციების ნაკადს აგრძელებს, რათა შემდეგ იგი გადასცეს ქოროს. ამგვარად, არჩილ ჩხარტიშვილი წავიდა სოფოკლეს გზით—ქორო აქცია ერთ-ერთ მთავარ გმირად, რითაც შექმნა მედეიას ემოციების შესანიშნავი ექოც და დამოუკიდებელი ხატიც.

არისტოტელე თავის „პოეტიკაში“ წერს, რომ „გუნდი უნდა იქნეს აღებული როგორც ერთი მსახიობთაგანი. იგი უნდა იყოს მთელის ნაწილი და მონაწილეობდეს მის განვითარებაში—არა ისე—როგორც ეს არის ევრიპიდედსთან, არამედ ისე, როგორც ეს არის სოფოკლესთან“.

აქცია რა ქორო გმირად, ა. ჩხარტიშვილმა ამავე დროს მასში შეიტანა ევრიპიდედისეული „ნერვიული სტილი“, რომელიც განწყობილებათა ცვლილებებს, მათი დაპირისპირების ექსპრესიულ გამოხატვას გულისხმობს.

ეს სპექტაკლი უფრო გმირული ტრაგედიის ვანრს ვანიკუთვნება ვიდრე ფსიქოლოგიური-სას, თუმცა მთელი რიგი სცენები თვით ევრიკო ანჯაფაროძის თამაში არ არის მოკლებული ქემბარტე ფსიქოლოგიურ სიმაბოლეს.

ამიტომ ვამბობთ, რომ რეჟისორმა სოფოკლეს სტილის თავისებურებანი შეურწყო ევრიპიდედსას. მართლაც, ვ. ანჯაფაროძესა და ა. ჩხარტიშვილის მარტოოდენ, მედეიას სულიერი ძაღისა და სისუსტის, შინაგანი



კონფლიქტების გამოსახვის ზუსტი გზა რომ აერჩიათ, ჩვენ ეს სპექტაკლი შეგვცაგვდა, მაგრამ დიდ შთაბეჭდილებას. მაგრამ იგი არ მოგვეგვირდა ადამიანურ სიამაყეს, ვერ გააღვიძებდა ჩვენში გმირულ სულს. ამგვამდ კი ვერაპიდეც ფსიქოლოგიური სიმართლე ჰეროიზირებულია, ამბულბებულია და მეტი სილიადე აქც მას მინიჭებული. ყველაფერი ეს მიწვეულია სპექტაკლის საერთო კომპოზიციური წყობისა და ვერტიკო ანჯაფარობის თამაშის წყალობით.

პროლოგში დიდა, მსახიობი ნ. მიქელაძე, უკვე პირველ ტონს აძლევს სპექტაკლს. მისი ზეიადი ფიგურა, ჩამოშლილი ჭალარა თმები, შემფოთებული თვალები უმალ გვაგვრძობინებენ, რომ რალაცას შეუძრავს იგი. ძლიერი ხმით მოგვითხრობს მედეიას მიძმე ხვედრს. ამ თხრობას და შემდეგ ქოროს ექსპრესიულ გამოსვლას თან დასდევს სცენის სიღრმიდან მომდინარე ანჯაფარობის—მედეიას მოთქმა. ეს მწუხარე ფონი და ქალთა შემფოთებული სახეები ამძაფრებს ჩვენს სურვილს, რაც შეიძლება მალე ვიხილოთ მედეია. მართლაც, თითქოს უხილავმა ძალამ განახმო იღუმალი ქარი, (კედელი, რომელიც მედეიას ფარავდა ნელა ჩიწლი) და ჩვენ ვიხილეთ ეს შემღალადე ადამიანის პოზაში მდგარი, დამწუხრებული მედეია. ეს სურათი რალაცით უკავშირებდა ვაჟა-ფშაველას მიერ დახატულ უფსკრულის პირად შეჩერებულ აღახას სახეს.

ამ ტრაგიკული, პათეტური პოზიდან ხდება ბუნებრივი ვადახსლა სვედიან მელოდიაზე. გუნდისაგან მოალერსებული მედეია ჩაჯდება კორინთელ ქალებს შორის და მათ შესჩივლებს ქალის მიძმე და აუტანელ ხვედრს. ამ წუთში ვ. ანჯაფარობე ჩვეულებრივი ქალია, წყრომისა და სიმძიმისაგან დანაღვლიანებული, და ჩვენ ვგრძნობთ, რომ მისი ტახტი მიწაა, ნაღიმი მისი მოთქმა და მეხემაიადე—სიმარტოვე.

ამ სცენიდან რეჟისორი, მსახიობი და კომპოზიტორი არჩიდ ჩიმაკაძე იწყებენ მედეასადმი ტრაგიკული თანატანჯვის მოტივისა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქართული თემის შემოტანას. მედეიას ცხოვრების უმძიმეს წუთებში შორიდან მოესმის მგვრული ზარი, თავისი ლირიკული მოთქმითა და განწირულებით. ამ საბედისწერო ჟამს თითქმის მედეიას ცნობიერებაში შეიარხნენ სამშობლოს ლანდმაფტები და გამოსცეს ის მწუხარე ხმა,

რომელიც მოუბრუნებლად დაკარგულს მტრის. მედეიამაც მთელი სიმწვედით იგრძნო მიუსათრობის, უმინაწყოლობის საშინელება. ამ სვედიან ელგვიას სცვლის მედეიას შეუვალი სიამაყე. შემოღის კრეონი (მსახიობი ტ. საყვარელიძე) მედეია მას დამჯდარი ელაპარაკება და ამ წუთში იგი უფრო ძლიერი და ამბულბებულია, ვიდრე მეფე, ვის ხელშიც არის ამ ქალის ბედი. მთავარი აქ ეს არის, რომ მედეია—ანჯაფარობის სიამაყე ნასაზრდოება არა მხოლოდ მებრი ქალის ხასიათის თვისებით, მისი ბრძნული ნიჭით, არამედ იმიტაც, რომ იგი დიდებული, უქულტურესი და უძლიერესი კოლხეთის შვილია.

ჩვენ ვიხილეთ არა მხოლოდ ლევაზი და ამაყი ქალის ტრაგედია; არამედ დედის, სამშობლო დაკარგული, უთვისტომო ადამიანის ტრაგედია. ვნებების თვით უქიდურესი გახელების ჟამსაც მედეიას არ ტოვებს გონიერება, იგი მას დამანგრეველ ძალას უპირისპირებს და ამაში პოულობს წამიერი სისუსტისაგან თავდახსნის საუკეთესო საშუალებას. მთელი როლი განსაკუთრებული პლასტიკური სიღბადით აქც მსახიობს დამუშავებული—სვედიან და წწუხარების, საკუთარ გულთან ბრძოლა და ავებენიანი ზეინის სცენიდან ერთმანეთში გადადის მკვეთრი კონტრასტებით.

შვილებზე ფიქრი მას გამოუთქმელ ტანჯვაში აგდებს. მაგრამ მედეია მიანიც მართავს „ფიეტას ლხინს“—ხოციას შეიღებს და ამ საშინელი წამის განცდის მიუხედავად, უფრო ამაღლებული და დიადი უბრუნდება მასურბელს.

ამ ადამიანური ტრაგედიის ემოციური სიმძლავრე წარმოუდგენელი იქნებოდა ა. ჩიმაკაძის მუსიკის გარეშე, რომელიც მთელ ნაწარმოებთან შინაგან კავშირშია, ვრცელდება ყველა მის დრამატულ პერიოპტიკაზე, საერთო სახეს აძლევს მას, იქნება ეს მედეიას ელგეია, თუ მისი ბოპობა, უნაბირო გახელება თუ დამცხრალი გრძნობა მოახლოებულ კატასტროფის პირისპირ.

ეს არის ის მთლიანი თეატრალური, დრამატული მუსიკა, რაზედაც ასე მგრძნობიარედ წერდა ვანერო თავის სტატიაში „მუსიკის გამოყენება დრამაში“. ჩვენს კომპოზიტორი მგვრული მოთქმის კილოს შემოიტანოთ ინსტიტუტურად მიუხაზლავა ევროპიდეს ერთ თავისებურებას. დრამატულ ტექნიკაში ამ უქანასკნელმა ბერტენმა ტრაგიკოსმა

შემოიტანა სიახლე. მის ტრაგედიებს მიჰყევი-
ბოდა მის მიერვე შერჩეული მუსიკა. განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებდა იგი ე. წ. ლიდურ კილოს, რომელიც ნაღვლიანი ხასიათის ყოფილა.

საერთოდ ბერძნული საკულტო ტაძრები და საერო სასახლეები უმთავრესად კლდეებზე, მთის ფერდობებზეა გაშენებული. მათკენ მიმავალი გზა დაფენილია ვეება ბრტყელი მარმარილოს ქვებით. როცა აღისართ ზევით, თქვენ ამ გზის მეტს ვერაფერს ხედავთ და შემდეგ—მიტოვ მანძილის ვაგლის შემდეგ თქვენ თვალწინ გადაიშლება დიდებული სასახობა. ასევე ამ სპექტაკლშიც, მხატვარი ი. სუმბათაშვილს მაყურებლის წინ აღუშარ-
თავს დაქანებული სიბრტყე, რომელიც კედელსაც მიაგავს და გზასაც. ერთხანს მაყურებლის თვალწინ მხოლოდ ეს ქვის სიბრტყეა, მერე იგი ნელა ეშვება და ჩვენ წინ წარმოიქმნება უსასრულო სივრცისაკენ მიმართული გზა. აი, აქ დატრიალდება მედიის ტრაგედია, ამავე გზით გაემართება იგი სადღაც შორს, უცნობ მხარეში. მთელი სცენური გარემო ლაკონიური მონუმენტებით არის აღბეჭდილი და მასში სწორად არის ნაგრძნობი ელადის სული.

„მედეის“ თარგმანი ეკუთვნის ბერძნული ლიტერატურის ცნობილ სპეციალისტს თეატრალს პანტელეიმონ ბერაძეს. ორივე ეს მომენტი ჩინებულად შერწყმულა მის თარგმანში. ევრიბიდეს ლექსი შესანიშნავად ჟღერს ქართულად. იგი მოედინება თავისუფლად, სხარტად და ხატოვანად. მთარგმნელი თამამად მიმართავს ქართულ იდიომატიკასა და ხალხურ მახვილსიტყვაობის წიაღს; მაგრამ მას აქ არ დალატობს ზომიერების გრძნობა, იგი იცავს ტაქტს, რათა არ შეიქმნეს „მედეის“ თავისუფალი გადმოღების შთაბეჭდილება.

ამასთან მან კარგად იცის სცენა და არც ლექსში, არც დიალოგში არ ეპარება უსახო ფრაზა, შიშველი რიტმით, ამიტომ როგორც მონოლოგები, ისე განსაკუთრებით, სტიქომედია მძაფერსა და ექსპრესიულ ლექსშია გამართული.

ამანაც განაპირობა „მედეის“ წარმატება ისე კი—ამბობს დასასრულს მომხსენებელი,—თითოეული ხელოვანის თავდადებულ შრომამ სპექტაკლი აქცია არა მარტო თეატრალურ არამედ საზოგადოებრივ მოვლენად. მოხსენების შემდეგ კამათში პირველმა მოწაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორმა, კლასიკური

ფილოლოგიის სპეციალისტმა დოცენტმა, სპეცი-
ხუციშვილმა. იგი მაღალ შეფასებას აძლევს კ. მარჯანიშვილის თეატრის უქანასკნელ პრემიერას, განსაკუთრებით კი ვ. ანჯაფარიძის სამსახიობო და ა. ჩხარტიშვილის სარეჟისორო ხელოვნებას. აკეთებს მცირაოდენ შენიშვნებს პიესის თარგმნის მიმართ.

თეატრის ისტორიკოსი დ. ჯანელიძე „მედეის“ მიიჩნევს თეატრის საეტაპო დადგმად, სადაც ცხოველმყოფელი ძალით იგრძნობა მარჯანიშვილის შემოქმედებითი ტრადიციები. იგი ასახელებს ყველა იმ ხელოვანს, რომლებმაც გადამწვევები როლი ითამაშეს სპექტაკლის გამარჯვების საქმეში. დაე—ამბობს იგი დასასრულს—ასეთი ბედნიერი დღეები მრავალი ჰქონდეს ქართულ თეატრს.

ვ. ანჯაფარიძის აქტიორულ ოსტატობაზე განსაკუთრებული ხაზგასმულობით ლაპარაკობდა რუსულ მოზარდ-მაყურებელთა თეატრის მთავარი რეჟისორი მერი ოლმანიკაია.

ასევე მაღალ შეფასებას აძლევს იგი რეჟისორის ნამუშევარს. ტრადიციისა და ნოვატორობის, კ. მარჯანიშვილის მხატვრულ-შემოქმედებით პრინციპებზე, სინთეტიკობისა და მეგვიდრეობის შესახებ თლაპარაკა მუსიკის მტოდნემ ა. წულუკიძემ. ორატორის აზრით „მედეია“ მარჯანიშვილის თეატრის საუკეთესო ტრადიციების შესანიშნავი გაგრძელებაა. ორატორი იწინააღმდეგება და საუკეთესოდ მიიჩნევს კომპოზიტორის ნამუშევარს.

მე ათენაში ენახე—ამბობს პიესის მთარგმნელი პ. ბერაძე—ეს დადგმა. უნდა მოგახსენოთ, რომ შედარება არ შეიძლება. მე ვიცნობ აგრეთვე ოხლოპკოვის მიერ დადგმულ „მედეიას“ არც ის არის დიდი მიღწევა, რასაც აქ ახლა ვუყურებთ, დიდი შემოქმედებაა. დიდი შემოქმედია სპექტაკლის ყველა მონაწილე და ამან მიგვიყვანა სასიხარულო გამარჯვებამდე.

ბოლოს თავმჯდომარე სიტყვას აძლევს სპექტაკლის დადგმულ რეჟისორს არჩილ ჩხარტიშვილს.

რეჟისორი მოკლედ მიმოიხილავს „მედეის“ სცენურ ისტორიას და დასძენს, რომ ევრიბიდეს მედია“ პირველად დაიდგა ქართულ სცენაზე, რომ სცენური მონეტაჟები თვე-ჩებურია და სრულიად სხვაა ქოროს. ჩენი ვალი იყო ქართულ სცენაზე დავედგა „მედეია“. ეს ქართველი ქალის ტრაგიკულ ბედს ეხება და ყველაზე პოპულარული ქალისას.

ნება მიბოძეთ—ამბობს იგი-მადლობა გადაუხადო აქ დამსწრე მაყურებელს და ყველა იმთ, ვინც ასე გულთბილად მოაწყო ეს საღამო-განხილვა.

კოტე მარჯანიშვილის მოსაზრებები საკამო მოსკოვში

კოტე მარჯანიშვილი თავის მემუარებში სხვათა შორის წერს: „აი, მე უკვე გავკა-
ლარავდი, მოხუცებულობაში შევდგი ფეხი
და თეატრი ჩემი ერთადერთი შეყვარებუ-
ლია, რომელსადმიც მე ერთგული ვიყავი,
რომლისთვისაც ჩემს სიცოცხლეში არასო-
დეს არ მშობილათა და არც ვულაატებ,
ვიდრე სამარის კარამდე არ მიმიტანენ, მაგ-
რამ ერთი კი მჯერა, რა ლანძღვა-ბურტყუ-
ნითაც არ უნდა ახსენონ ჩემი ნამუშევარი,
რა ტლანქი რეცენზენტული საზომითაც არ
უნდა განსაჯონ იგი, არავის ენა არ მოუტ-
რიალდება იმის სათქმელად, რომ მე თეატ-
რი არ მიყვარს და რომ ჩემი შეგნებულ
ცხოვრების განმავლობაში მთავარი და ყვე-
ლაზე სერიოზული საქმე ჩემთვის თეატრი არ
იყო. დიახ. მე მიყვარს თეატრი, მიყვარს და
მიყვარება.“

ჩემს სიცოცხლეში არასოდეს იმის მესე-
დისათვისაც არ მიმიღწევია, რაც მე თეატრ-
ში ოცნებად დამისახავს. პირიქით, თეატრი-
საგან მიმიღია ბევრი სულიერი და მატერია-
ლური უსიამოვნება და მაინც... ..და მაინც
ვიცი რომ ვერასოდეს ვერ შევძლებდი თეატ-
რის მიტოვებას.“

აი სწორედ ამ თეატრისადმი განუზომელ-
მა სიყვარულმა თავის დიდ ნიჭთან ერთად
გაჩადა კ. მარჯანიშვილი დიდი შემოქმედი.

1962 წ. კოტე მარჯანიშვილის დაბადების
90 წელი შესრულდა. ამ თარიღთან დაკავ-
შირებით მოსკოვში ჩატარებული იქნა საღა-
მო. საქართველოში კი კ. მარჯანიშვილის
დაბადების 90 წლისთავი ფართო საიუბილეო
ღონისძიებებით აღინიშნება მიმდინარე წლის
ოქტომბერში.

საღამო მოსკოვში მოაწყვა საქართველოს
თეატრალურმა საზოგადოებამ, სრულიად
რუსეთის თეატრალურმა საზოგადოებამ და
აქტიორის ცენტრალური სახლის საბჭომ ა.
წ. 31 მაისს, საღამო შესავალი სიტყვით გახ-
სნა რსფსრ სახალხო არტისტმა ნ. პეტროვ-
მა. მოგონებებით გამოვიდნენ საბჭოთა კავ-
შირის სახალხო არტისტები: ელენე გოგო-

ლვეა და ვერიკო ანჯაფარაძე, რსფსრ-ის სა-
ხალხო არტისტები: ნ. სვეტლოვიდოვი, გ.
იარონი ა. დიჩიი, რეჟისორი—თეატრმოც-
ნე გ. კრეტიციკი და სხვ.

საღამოზე ნაჩვენები იყო სცენები კ. მარ-
ჯანიშვილის მიერ დადგმული პიესებიდან:
„ცხვრის წყარო“ და „შურიელ აკოსტა“.
გარდა სცენებისა დამსწრეთ უჩვენეს კ. მარ-
ჯანიშვილის მიერ განხორციელებული კინო-
ფილმები და დოკუმენტური ფილმი „კ. მარ-
ჯანიშვილი“ ფილმის რეჟისორი—ხელოვნების
დამსახურებული მოღვაწე ს. კელიძე.

როგორც მომხსენებელი, ისე მოგონებებით
გამოსული ამხანაგები მაღალ შეფასებას აძ-
ლევდნენ კ. მარჯანიშვილის რეჟისორულ
მოღვაწეობას და მას იხსენიებდნენ კ. სტანი-
სლავსკთან და ნემიროვიჩ—დანიჩენკოსთან
ერთად, როგორც დიდ შემოქმედს და მხატ-
ვარს. ყველა აღნიშნავდა რუსული თეატრის
აღორძინებაში მარჯანიშვილის დიდ ღვაწლს.

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა აკაკი
ხორაგამ, რომელიც მოსკოვში მარჯანი-
შვილის საღამოს დაესწრო შემდეგი განა-
ცხადა: მე ახლოს ვიცნობდი მარჯანიშ-
ვილს, მასთან დიდხანს მიმუშავნია, ვიცი რომ
ის დიდი რეჟისორი იყო, მაგრამ როდესაც
მე მოვეუბნე საღამოზე გამოსულ ამხანაგე-
ბს, რომლებიც მეცნიერულად არჩევდნენ
მარჯანიშვილის რუსეთში მუშაობას, ასე გა-
სინჯეთ ყოველ მიზანსკენასაც კი ამა თუ იმ
პიესაში, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მარ-
ჯანიშვილის სახით არამც თუ ჩვენი, არამედ
რუსეთის ჰყოლია უდიდესი შემოქმედი. დრო-
სათანადოდ იქნეს შესწავლილი მარჯანიშვი-
ლი და ჩვენმა ახალმა თაობამ გაიგოთ თუ ვინ
იყო მარჯანიშვილი, რომ ყოველნაირ გაუ-
გებრობას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო
მოეღოს.


მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საღა-
მოს შესახებ ქალაქში აფიშები გამოფენილი
არ ყოფილა, შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვ-
ში მცხოვრები ქართველობის დიდი ნაწილი
დაესწრო საღამოს.



კ. მარჯანიშვილის მოსაგონარი საღამო აგრეთვე გაიმართა ბახრუშინის სახელობის თეატრალურ მუზეუმში, ეს საღამოც დიდი წარმატებით ჩატარდა. ასეთივე საღამოების მოწყობა განზრახულია ლენინგრადსა და კიევიში.

რუსეთის თეატრალური საზოგადოების

მიერ გამართულ კ. მარჯანიშვილის საღამოს მხატვრულ განყოფილებაში მონაწილეობდნენ სსრკ სახალხო არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე, რესპ. სახალხო არტისტები: თამარ ჭავჭავაძე, პიერ კობახიძე და მსახიობები მ. ბებურიშვილი და მ. თაბუკაშვილი.



იუბილემდე ერთი კვირით ადრე დაიწყო დენა დებეშებმა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან. იუბილარს ულოცავდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის, კიევის და ერევნის, რიგის, ბაქოს, მინსკის და სხვა ქალაქთა თეატრალური კოლექტივები, კულტურის სამინისტროებისა და თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლები, მწერლები, თეატრმცოდნეები. დებეშები მოვიდა საქართველოს თითქმის ყველა რაიონიდან. ეს იყო იმ პატივისცემისა და სიყვარულის გამოხატულება, რომელიც 40 წლის თეატრალური მოღვაწეობით დაიმსახურა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაქემ.

საიუბილეო საღამო გახსნა საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელოვნებისა და უმაღლეს სასწავლებელთა მთავარ სამმართველოს უფროსმა გ. ფოფხაძემ. მან თავის შესავალ სიტყვაში ილაპარაკა დ. ანთაქის დამსახურებაზე ქართული კულტურის წინაშე და შემდეგ მოხსენებისათვის სიტყვა მისცა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანს, კრიტიკოს ბ. ჟღენტს.

ჩვენი საზოგადოებრიობა—სთქვა მომხსენებელმა—დიდი სიხარულითა და მადლიერი გრძნობით აღნიშნავს ქართული თეატრის გამოჩენილი მოღვაწის დ. ანთაქის ცხოვრებისა და შემოქმედების საიუბილეო დღეს.

დ. ანთაქე—განაგრძობს მომხსენებელი, ეკუთვნის ქართული თეატრის მოღვაწეთა იმ ბრწყინვალე პლეადას, რომელშიც კ. მარჯანიშვილის მეთაურობით საფუძველი ჩაუყარა ქართულ საბჭოთა თეატრს. ახალი თეატრალური ცხოვრების დასაწყისშივე აქტიურად ჩაება დ. ანთაქე მის შემოქმედებით და ორგანიზაციულ მუშაობაში და ოთხი ათეული წელი შეაღწია ამ დიდ ეროვნულ საქმეს. იგი იმთავითვე იყო კ. მარჯანიშვილის უახლოესი მეგობარი და მოწაფე. დიდი რეჟისორი დ. ანთაქეს ანდობდა უაღრესად რთულსა და პასუხსაგებ საქმეს, რადგან სწამდა და სჯეროდა თავისი მოწაფისა.

კ. მარჯანიშვილის შემდეგ დ. ანთაქე სათავეში ჩაუდგა თავისი დიდი მასწავლებლის სახელობის თეატრს და წარმატებით განაგრძო ის შემოქმედებითი გეზი, რომელიც ადრე აიღო თეატრმა. მაშინ ბევრს არ სჯეროდა თუ კვლავ წარმატებით იარსებებდა მარჯანიშვილის თეატრი უმარჯანიშვილოდ. გაჩნდა ერთგვარი გულგატეხელობა და დაეცემა და სწორედ ამ პერიოდში მოჰკიდა ხელი დ. ანთაქემ „ნინოშვილის გურიას“. სპექტაკლმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია. მას აღფრთოვანებული სტატიები უძღვნა ჩვენმა პრესამ. ხალხს ჩაენერგა რწმენა და იმედი, რომ თეატრი განაგრძობდა თავის სახელოვან ტრადიციას.

მარტო „ნინოშვილის გურია“ არ იყო ანთაქის რეჟისორული დამსახურება. ქართულ თეატრში მან რამდენიმე ათეული პიესა დადგა და ყოველი მათგანი მუდამ გამოირჩეოდა რეალიზმის მაღალი გრძნობით, სისადავით. ამ მხრივ აღსანიშნავია „ნაპერწყლიდან“, „ყაჩაღები“, „გუშინდელი“, „მუხტები ალაპარაკდნენ“, „იციკა რიყინაშვილი“, „ხეობისბერი გოჩა“ და სხვა. ამ უკანასკნელს მაღალი შეფასება მისცა მოსკოვის პრესამ და თეატრალურმა საზოგადოებრიობამ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადანზე. ამ დღეებში, იუბილეს წინ დ. ანთაქემ განახორციელა კიდევ ერთი ახალი დადგმა, ლ. სანციანის „ქუთათურები“.

ბ. ჟღენტის ვერცხლი მოხსენების შემდეგ დაიწყო მილოცვები. მეცნიერებათა აკადემიის სახელით იუბილარს მიესალმა გ. ციციშვილი, თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტის სახელით—დ. ჩხეიძე, საქართველოს კულტურის სამინისტროს ადრეული წაიკითხა ხელოვნებისა და უმაღლეს სასწავლებელთა მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ თ. ჯანელიძემ. კულტურის მუშაკთა პროფკავშირის დავალებით იუბილარს მიესალმა გ. გაჩეჩილაძე. მხატვართა კავშირიდან სიტყვით გამოვიდა ლ. გუღიაშვილი. ოპერისა

და ბალეტის თეატრიდან—დ. შვედლიძე.
ბათუმიდან—ი. კობალაძე, კინოსტუდია „ქარ-
თული ფილმიდან“—დ. წერაძე, თბილისის
საქალაქო საბჭოს სახელით იუბილარს მიე-
სალმა ქ. ოტიაშვილი. ამიერკავკასიის სამხედ-
რო ოლქის სარდლობის სახელით სიტყვა
წარმოსთქვა პოდპოლკოვნიკმა კლუფემა.

მაყურებლები მქუხარე ტაშით შეხვდნენ
ქუთაისის ლ. მესხიშვილის თეატრისა და
ინტელიგენციის დელეგაციას. ეს გასაგებიც
არის. დ. ანთაძემ ხომ თითქმის 15 წელი
მოახმარა ქუთაისის თეატრის განვითარებ-
სათვის შრომასა და ბრძოლას. იგი დიდი
ხნის მანძილზე იყო რა თეატრის ხელმძღვ-
ნელი, ადმინისტრაციულ მუშაობასთან ერ-
თად ეწეოდა აქტიურ შემოქმედებით ცხოვ-
რებას. ქუთაისელები განსაკუთრებული სიყ-
ვარულით იგონებენ იმ წლებს, როცა თე-
ატრს სათავეში ედგა დ. ანთაძე.

ქუთაისის ინტელიგენციის სახელით სიტ-
ყვა წარმოსთქვა პოეტმა გ. სამხარაძემ. მან
მოკლედ აღნიშნა ის დამსახურება, რაც ქა-
ლაქის კულტურულ ცხოვრებაში მიუძღვის
დ. ანთაძეს. თავის სიტყვის დასასრულ მან
წაიკითხა იუბილარისადმი მიძღვნილი ლექსი.
ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის
სახელით გამოვიდა დ. ჭიბუჭილი.

საინტერესო იყო საიუბილეო საღამოს
მეორე განყოფილება. იგი მარტო მხატვრუ-
ლი ნაწილით როდი შემოიფარგლა. საკონ-
ცერტო შესრულებასთან, სხვადასხვა სპექ-
ტაკლებიდან ამოღებულ სცენებთან ერთად
გამოსული ამხანაგები კვლავ ესალმებოდნენ
იუბილარს, გამოხატავდნენ თავიანთ გრძნო-
ბებსა და ფიქრებს, სიყვარულსა და პატივის-

ცემას. მარჯანიშვილის თეატრის კოლმეტი-
მა მაყურებელს უჩვენა სცენები დ. ანთაძის
სპექტაკლიდან „ნინოშვილის გურია“. ორი-
გინაწლურად იყო მოფიქრებული და თეატრა-
ლიზებული ს. ყორჯოლიანის სიტყვა, რომე-
ლიც მარჯანიშვილელთა სახელით წარმოს-
თქვა.

ამაღლებელი იყო ზესტაფონის მშრომელ-
თა წარმომადგენლის მისალმება. დარბაზმა
მქუხარე ტაშით დააჯილდოვა იუბილარის
მშობლიური სოფლის, ვარძიის მკვიდრთაგან
წარმოგზავნილები. მათ ილაპარაკეს იმ სი-
ხარულზე და სიამაყის გრძობაზე, რომელ-
საც დ. ანთაძის იუბილე იწვევს ვარძიელ
მშრომელებში.

პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტი-
ტუტის კოლექტივის სახელით იუბილარს
მისალმა პროფესორი დ. ბენაშვილი. მისა-
სალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე
სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფილარმონი-
ისა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენ-
ლები.

საიუბილეო საღამოზე გულთბილი და საინ-
ტერესო სიტყვა სთქვა დ. ანთაძემ. მან მად-
ლობა გადაუხადა ყველას, ვინც გაიზიარა
მისი სიხარული. მადლობა უთხრა თავის
მშობელ ქვეყანას, რომელმაც ასე კარგად
იცის პატივი და დაფასება თავისი შვილის
მცირე ნაღვაწისაც კი. იუბილარის სიტყვას
მქუხარე და ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ
საღამოს მონაწილენი და ამით ერთხელ კი-
დედუ გამოხატეს თავიანთი სიყვარული და პა-
ტივისცემა იმის გამო, რაც 40 წლის შემო-
ქმედებითი მოღვაწეობით გაუყვებია დ. ან-
თაძეს.



შემოქმედებითი სალამო

სცენაზე არ იდგა არც პრეზიდენტის შავი-და, არც სავარძლები, გარდა ერთადერთი სკამისა, რომელიც სცენის მარცხნივ რამბასთან მოეთავსებიათ. სამაგიეროდ მაყურებელთა დარბაზი სავსე იყო ხალხით. ყველას ყურადღება სცენისაკენ მიეხურა, მაგრამ შემდგომ ყოველივე უჩვეულოდ მოხდა. მაყურებელთა დარბაზში გაისმა ნაცნობი ხმა, სსრკ სახალხო არტისტმა სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა აკაკი ხორავამ მსმენელთათვის შეუმჩნეველად გახსნა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის თამარ ბაქრაძის შემოქმედებითი სალამო. თავისი სიტყვა მან შემდეგნაირად დაასრულა... „და აი, როგორც მოვახსენეთ, ასეთი დამსახურებული მსახიობის სალამოს დაწყებას მისი ორგანიზაციის მესვლელები ავციანებენ, ჩვენ კი ამას არ დაუშვებთ, არა! ვასო, დავიწყეთ, მიმართა თეატრმკოდნე ვასილ კიკნაძეს, რომელსაც როგორც აფიშები იტყობინებოდნენ, დავალებული ჰქონდა მოხსენება თ. ბაქრაძის შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ

მოხსენებელის მცირე შესავალი სიტყვა უძღოდა წინ სცენას რუსთაველის სახ. თეატრის სპექტაკლიდან „თათარანთ ქვრივი“, რომელშიაც ქვრივის როლს თვით თამარ ბაქრაძე ასრულებდა. ამვე სცენაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი ი. ჯავახიშვილი და მსახიობი დ. შაიშველაშვილი.

მოხსენებელი კვლავ უფლებებშია, იგი თანმიმდევრულად მიყვება თ. ბაქრაძის შემოქმედებით გზას, და საინტერესოდ ახასიათებს ღვაწლმოსილი მსახიობის მოღვაწეობას. დარბაზში სინათლე ქრება, ერთდროულად ეშვება ეკრანი და მაყურებლებს თვალწინ წარმოუდგა ბაქრაძე, როგორც კინო—მსახიობი. კადრი—კადრსა სცვლის, კინოსტუდია ქართული ფილმის ნაწარმოებებიდან „ჩრდილი გზაზე“, „ენგურის ნაპირებთან“, ორივე

ფილმში ნიჭიერი მსახიობი ქართველი დედის დასამახსოვრებელ სახეს ქმნიდა.

სიტყვას კვლავ მომხსენებელი განაგრძობს, იგი ივანეს თამარ ბაქრაძის მიერ შესრულებულ აღრინდელ როლებს სკრიბის „ჭიქა წყალში“: (ლედი მალბორის სახე). მომხსენებელი ბოდიშს იხდის, რომ საქაო სიღრმით ვერ შესძლებს აღნიშნული სახის განხილვას, რადგან ამ შემთხვევაში იგი იძულებულია, რეცენზენტთა ჩანაწერებს დაემყაროს.

—სამაგიეროდ მე მასოვს—ისმის დარბაზიდან რესპუბლიკის სახალხო არტისტის დიმიტრი ალექსიდის ხმა,—ნება მიბოძეთ, როგორც ხსენებული პიესის დამდგმელმა რეჟისორმა მოვახსენათ თამარის მიერ როლის დაძლევის თოელი პროცესი...—ნიჭიერმა და შრომის მოყვარე მსახიობმა, დასაკვნის დ. ალექსიძე,—მისთვის ჩვეული ოსტატობით კიდევ ერთი დამახასიათებელი სახე შექმნა და მის მიერ განსახიერებული როლების გრავალფეროვან გალერეას კიდევ ერთი საგანძული შემატა,


—ამ ნათელ, მხატვრულად სრულყოფილ სახეთა რიცხვს ეკუთვნის—კვლავ კიკნაძე იტოვებს სიტყვის უფლებას, კრუჩინინა—ოსტროვსკის პიესაში „უდანაშაულო დამნაშავენი“. მაგრამ მონაყოლს—ხილვა სჯობიაო და ჩვენც ვთხოვთ თამარს ერთხელ კიდევ წარმოგვიდგეს თავისი ჩვეული ოსტატობით. სცენაზე თ. ბაქრაძესთან ერთად გამოვიდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ემ. აფხაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნ. ჩხეიძე, მსახიობები ეკ. ვაჩნაძე, და ბ. წიფურია. ჯერ არ დამცხრალიყო დარბაზში ტაში, რომ სცენაზე აღიან დედაქალაქის თეატრებისა და რესპუბლიკის შემოქმედითი ორგანიზაციების წარმომადგენლები:

საქართველოს თეატრალური საზოგადოების სახელით თ. ბაქრაძეს მიესალმა რესპუბლიკის სახალხო არტისტი პავლე ფრანგიშვი-

ლი, ხელოვნების მუშაკთა სახელით რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვიქტორ ნინიძე, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახელით თეატრმცოდნე ვახტანგ ლოლაძე, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სახელით რესპუბლიკის სახალხო არტისტი ალაქსანდრა თოიძე, გრიბოედოვის სახელობის თეატრის სახელით რესპუბლიკის სახალხო არტისტი ეკატერინე სატინა და სხვები. დამსწრეთა მოწონება დაიმსახურა მამა-შვილის—რესპუბლიკის სახალხო არტისტის პიერ კობახიძისა და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ბადრი კობახიძის

მჭერმეტყველურმა და ჰუმორით აღსავსე პიესა-რობამ.

როილთანა კონსერვატორიის მე-4 კურსის სტუდენტი მერაბ რაზმაძე. თამარ ბაქრაძის პაციენსაცემად რამდენიმე საესტრადო ნომერი წარმოადგინეს თამარ ბაქრაძის მეგობრებმა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა თამარ თეთრაძემ, თამარ თარხნიშვილმა, კარლო საკანდელიძემ და მსახიობმა ჯემალ ლალანიძემ. დასასრულს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა თამარ ბაქრაძემ დამსწრეთ და მონაწილეთ გულთბილი მადლობა გადაუხადა.



ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრის მსახიობი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მიხეილ სარდიონის-ძე ჯალალანია თეატრის მუშაკთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება თავისი შემოქმედებითი ცხოვრება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში დაეწყო.

მიხეილ ჯალალანია ჩოხატაურის რაიონის მკვიდრია. იგი ადგილობრივ სცენის მოყვარეთა ახალგაზრდულ წრეში მონაწილეობდა სისტემატიურად და 1921 წლის დასაწყისში საქმაოდ გამოცდილი სცენისმოყვარე იყო.

მთელი გულწრფელობით ჩაება იგი ახალი ცხოვრების მშენებლობაში, ადგილობრივ კულტურულ საქმიანობაში და სისტემატიურად დებულობდა მონაწილეობას სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში, რომლებშიც წამყვან როლებს ასრულებდა. ამ პერიოდში მას უთამაშნია: „ქრისტიანეში“—იისონი, „მსხვერპლში“—მინა, „გეგუქორში“—შვიდია, „დამარცხებულში“—იმერელი, „სტუმარ-მასპინძლობაში“—ნიკიფორე ატაკუტა და სხვა.

1925 წლიდან მიხეილ ჯალალანია სათავეში ჩაუდგა ჩოხატაურის სცენის მოყვარეთა კოლექტივს და მას ხელმძღვანელობდა წლების მანძილზე.

1935 წელს საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სპეციალურმა კომისიამ დაათვალიერა ჩოხატაურის თეატრომქმედი თეატრალური კოლექტივის წარმოდგენები და ამ სამმართველოს წარდგენით ჩოხატაურის თეატრს დაინიშნა დოქტორად და იგი სახელმწიფო თეატრად გამოცხადდა. თეატრის რეჟისორად დაინიშნა მ. ჯალალანია, რომელიც განაგრძობდა მუშაობას აგრეთვე როგორც მსახიობი.

1938 წლიდან მასვე დაეკისრა ამ თეატრის დირექტორობა და სამხატვრო ხელმძღვანელობა, რომელსაც იგი 12 წლის მანძილზე ასრულებდა, ჩოხატაურის თეატრიც მაშინ რაიონულ თეატრებს შორის საქმაო შემოქმედებითი ავტორიტეტით სარგებლობდა.

ამ პერიოდში მ. ჯალალანიას დადგმული აქვს საქმაო რაოდენობა პიესებისა და განხორციელებული აქვს მთავარი როლები როგორც მაგალითად „ყვარყვარე თუთაბერში“—ყვარყვარე, „და ძმაში“—ოტია ჯოლია, „სამშობლოში“—შაჰაბაზი, „უნიადავოში“—ნესტორი, „რღვევაში“—ბერსენიევი, „ხვევისბერ გოჩაში“—გოჩა და მრავალი სხვა...

ბევრ მის მიერ დადგმულ სპექტაკლს და აგრეთვე განხორციელებულ როლსაც კარგი შეფასება მიუღია ჩვენს პრესაში და მოწონება დაუმსახურებია მაყურებელთა შორის

1949 წლიდან მ. ჯალალანია გადაყვანილი იქნა ბათუმის თეატრში, სადაც განუწყვეტლივ მუშაობს დღემდე. ამ ხნის განმავლობაში მას მრავალი როლი განუსახიერებია სათანადო აქტიორული ოსტატობით, რაც ბევრჯერ აღინიშნა პრესაში. ზედმეტი არ იქნება აქ მოვიყვანოთ ამონაწერი ერთ-ერთი რეცენზიიდან, რომელიც ეხება ბათუმის თეატრში ლ. ზორინის პიესა „ფეხბურთელებში“ ვალერიან ნებიერიძის როლის შესრულებას. გაზეთი „ბატუმსკი რაბოჩი“ 1961 წ. 19 დეკემბრის ნომერში წერდა: „...რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა მ. ჯალალანიამ გაახარა მაყურებელი ბრწყინვალე თამაშით და ნამდვილი სცენური ოსტატობით. მის მიერ განხორციელებული მლიქვნელი და უსაქმური ვალერიან ნებიერიძის სახე უდაოდ ღირსეულ ადგილს დაიჭერს, ბათუმის თეატრში შექმნილ საუკეთესო მხატვრულ სახეთა ვალერეაში. მ. ჯალალანიას შესრულებაში გვხვბლავს სცენური გარდასახვის უდაოდ ნიჭი და უშუალობა. მსახიობი არ მიმართავს გარეგნულ ეფექტებს და არ ცდილობს უსათუოდ გააცინოს მაყურებელი, არამედ თანამიმდევრობით ხსნის პერსონაჟის შინაგან სამყაროს, ვადავცილის და კაცუნას ბუნებას, სპორტის საქმოსანისა, რომელიც მხოლოდ პირადი კეთილდღეობისათვის იღწვის.“ არიან მსახიობები, რომლებიც უმზაზროდ, მთელი თავიანთი შესაძ-

ლებლობით, გულწრფელად, საქმისადმი დიდი სიყვარულით და თავდადებით ემსახურებიან ქართულ თეატრს და საიმედო დასაყრდენს წარმოადგენენ იმ თეატრისათვის, სადაც ისინი მუშაობენ.

სწორედ ასეთ მსახიობთა რიცხვს ეკუთვნის მ. ჯალაღანია, ასეთი მუშაობით დაიმსახურა მან უდიდესი სიყვარული და პატივისცემა, როგორც თეატრის კოლექტივში, აგრეთვე საზოგადოების ფართო ფენებში.

1954 წელს მას მიენიჭა აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტის წოდება, 1957 წელს თბილისში ჩატარებულ ბათუმის თეატრის დეკადაზე მ. ჯალაღანიას მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

მიმდინარე წელს ჯალაღანიას შეუსრულდა დაბადებიდან 60 წელი და სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავი. ეს თარიღი საზეიმო ვითარებაში აღინიშნა ბათუმის სახელმწიფო თეატრში ა/წ. 28 თებერვალს მ. ჯალაღანიას შემოქმედებით საღამოზე, რომელიც საქართველოს თეატრალური საზოგადოების, აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროსა და ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრის ინიციატივით ჩატარდა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ბათუმის თეატრის დირექტორმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა მ. ხინიკაძემ. მ. ჯალაღანიასადმი სიყვარული და პატივისცემა გამოხატეს თავიანთ მისასალმებელ სიტყვებში ბათუმის წარმოება-დაწესებულებათა წარ-


მომადგენლებმა, მოსწავლე ახალგაზრდებმა მისი მშობლიური კუთხის ჩოხატაურის რაიონის მშრომელთა წარმომადგენელმა, (რაიონმასკომის კულტურის განყოფილების გამგე ი. ცინცაძე) რაიონის წარმოგზავნილმა მოსწავლეთა ჯგუფმა მეტად ლამაზ მხატვრულ გამოსვლაში გამოავლინეს თავიანთი მისალმება. იუბილარი საპატიო სიგელით დააჯილდოვეს აჭარის უმილესი საბჭოს პრეზიდიუმმა და აჭარის კულტურის სამინისტრომ.

მ. ჯალაღანია საპატიო სიგელით დააჯილდოვა საქართველოს კულტურის სამინისტრომ და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების სახელით მ. ჯალაღანიას მიესალმა და ადრესი გადასცა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ვ. ნინიძემ, რომელმაც გადასცა იუბილარს აგრეთვე საქართველოს კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელი.

საღამოზე მიღებულ იქნა მრავალი დეპეშა საქართველოს თეატრებიდან და იუბილარის პატივისმცემლებისაგან. საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო. დასასრულს წარმოდგენილი იქნა ცალკეული სცენები სხვა და სხვა პიესებიდან მ. ჯალაღანიას მონაწილეობით.

ეს საღამო ნათელი დადასტურება იყო იმისა, თუ რა დიდად ფასდება ჩვენს სინამდვილეში კარგი მოქალაქე და ხელოვნების თავდადებული უანგარო მუშაკი.



თოჯინების ქართული სახელმწიფო თეატრის მსახიობს, რომელსაც შეუსრულდა დაბადებიდან 60 წელი, ხოლო სასცენო მოღვაწეობის 35 წელი, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, სსრ კულტურის სამინისტრომ და თოჯინების სახელმწიფო ქართულმა თეატრმა ა/წ 27 მაისს მოუწყვეს შემოქმედებითი საღამო. საღამო შედგა თოჯინების თეატრში.

მოკლე შესავალი სიტყვით საღამო გახსნა თეატრის დირექტორმა გ. ჟორდანიამ, ხოლო ალექსანდრე ბენაშვილის სასცენო მოღვაწეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს დამსახურებული არტისტი რუსთაველის სახ. თეატრის მსახიობი თ. ბაქრაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ 1902 წელს ბოდბეში დაბადებული ბავშვი, რომელსაც დაარქვეს ალექსანდრე, სიღარიბეში იზრდებოდა, მაგრამ მშობლებმა მაინც მოახერხეს და დაამთავრებინეს ჯერ ბოდბის დაწყებითი და შემდეგ სიღრიდის საქალაქო სკოლა.

სკოლაში სწავლის პერიოდს ემთხვევა ალექსანდრეს სცენური ხელოვნებით გატაცება, იგი სასკოლო წარმოდგენებში ლებულობდა მონაწილეობას, ხოლო შემდეგ თვითმომკმედ დრამ წრეებში თავის ბიძაშვილთან ეკ. ნანობაშვილთან ერთად (ახლა ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი.) ხშირად გამოსულა მაყურებელთა წინაშე წამყვან როლებში. თვითმომკმედება არ აკმაყოფილებს ალექსანდრეს და 1927 წელს შედის რუსთაველის სახელობის თეატრის სტუდიაში, რომელსაც ხელმძღვანელობს გამოჩენილი რეჟისორი ალექსანდრე ახმეტელი. სტუდიაში მეცადინეობის პარალელურად ბენაშვილი თეატრის წარმოდგენებშიაც იღებდა მონაწილეობას. თავისთავად ცხადია, ისეთ ხელოვნებთან, როგორც გახლდნენ: თვით ახმეტელი, ალექსანდრე იმედაშვილი, გ. დავითაშვილი, ჯუღლიტა დავითაშვილი, ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობები: აკ. ხორავა, უშ. ჩხეიძე,

აკ. ვასაძე, თ. ჭავჭავაძე, თ. წულუკიძე მის. და ელგ. ლორთქიფანიძეები და სხვა მრავალნი, ბენაშვილის პროფესული ოსტატობა გარკვეულად ჩამოყალიბდა. მითუმეტეს, რომ თეატრმა 1927 წ.—1931 წ. მონუმენტური ღირსშესანიშნავი სპექტაკლები შექმნა და ამ დიდი საქმის პატარა მაგრამ ღირსეული მონაწილე ა. ბენაშვილიც გახლდათ.

1931 წლიდან ალ. ბენაშვილს ოჯახური პირობების გამო მოუხდა მუშაობა ჯერ თელავის, შემდეგ ყვარელის, ველისციხის, ზუგდიდის და ცხაკაიის სახელმწიფო თეატრებში, სადა იგი მუშაობდა, როგორც მსახიობი და როგორც რეჟისორი. ამ თეატრებში ბენაშვილის მიერ შესრულებულია შემდეგი როლები: მეერი „მუხჯები ალაპარაკდნენ“, ბურგონინო „ფიქსკოს შეთქმულება“, მინდია „ლაშარა“, ფრონდოზო „ცხვრის წყარო“, შტუტე „როკევა“, გერწითელი „პური“, ზაქარია „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“, ლუარსაბ თათქარიძე „კაცია ადამიანი“, კომანდორი „ადელანტი“ და სხვა, ბენაშვილის დადგმებიდან გამოირჩეოდა: „ადელანტი“ ყვარლის სახელმწიფო თეატრში და „სუდანაშაულო დამნაშავენი“ ველისციხის სახელმწიფო თეატრში. ბენაშვილის მიერ განხორციელებულ სპექტაკლებს და როლებს ქართული პრესა დადებითად აფასებდა. 1941 წელს ალ. ბენაშვილს ვეხდავთ წითელ არმიის რიგებში.

პარალელურად წითელი არმიელთა მონაწილეობით მართავს კონცერტებს, და ამით აზნუნებებს თავის თანამებრძოლებს. მძაფრ ბრძოლებში ალექსანდრე მძიმედ დაიჭრა, იგი ზურგში გაღვივდა. ეს მომდარა ქალაქ ბუინაკსკში (შამილის სამშობლო). წინა დღეს თურმე არმიელებს ეწვიათ თბილისიდან მწერლების ბრიგადა შ. დადიანის და ილო მოსაშვილის მონაწილეობით. მათ პატივსაცემად ბენაშვილს სახელდახელოდ მოუწყვეს კონცერტი. ამ დღეს განსაკუთრებით კმაყოფილყოფილა ბენაშვილი.


ომი დამთავრდა. ალექსანდრე არმიის რი-

გებიდან ბრუნდება და 1951 წ. იწყებს მუშაობას თბილისის სახელმწიფო თოჯინების თეატრში ტექნიკურ რეჟისორად და შემდეგ მსახიობად. ამ თეატრში მის მიერ შესრულებულ როლებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან: ზაირი („ზაირი“), დიდი ივანე („დიდი ივანე“), ზარმაცი კიკო („ზარმაცი კიკო“), დუღაბ ხასანი („დარუბნელი ქაბუკი“), დურემში („ბურატინოს თავდასასვალი“), მსაჯი („ჩექმებიანი კატა“), დედა დათვი („ფიქრის სკოლა“) და სხვა. უნდა ითქვას, რომ გარდა მსახიობის ოსტატობისა ალ. ბენაშვილი საუცხოოდ ფლობს თოჯინების გარემოს რთულ ტექნიკას, რითაც მოხიბლული ჰყავს თავისი გულწრფელი მაყურებელი ამიტომ იყო, რომ ალექსანდრეს სახეიმო დღეს მაყურებლებმა ვარდის კონებით გაავსეს სცენა და დაფარეს იუბილარი, ბავშვებმა წარმოგზავნილებმა სხვა და სხვა სკოლებიდან; მე-8 საშუალო სკოლიდან; (ჯაფარიძე ლილი და თელიაშვილი ლალი), მე-12-დან (აივაზოვი ლია), მე-14-დან (ქვიტიშვილი ნ.) მე-6-დან (გრძელიშვილი ელისა), მე-13-დან (დვალიშვილი ზეინაბი, ტერბულაძე ლალი, გოგოჩავა მარინე, დვალიშვილი ლიანა და ფირცხალავა ქეთო), 34-დან (ციციშვილი ნინო, მე-19-დან, (მეგრელიშვილი ლიანა), მე-17-დან (მერაბ და თამარა იმნაძეები). 22-ე-დან (კუბატაძე მარინე, ოსიძე მერაბი და სურმაჯა იზოლდა), 29-ე-დან (თი-

ნათინ ბიგვავა), მე-18-დან (კაბისაძე მანია), 23-ე-დან (ასათიანი რუსუდანი), 31-ე-დან (ხეჩუშვი ალექო), 42-ე-დან (ბუაძე ლიანა), 47-ე-დან (საყვარელიძე მარინე), 53-ე-დან (მთაწმინდელი ქეთევანი), 61-ე-დან (მურადაშვილი ვიოლეტა და გოგინავა ნანული), 51-ე-დან (ქობულთა გივი), 58-ე-დან (ჩხეიძე ელენოზორა, ჩიხლაძე თეპური და აბუაშვილი რ.), 57-ე-დან (გელოვანი მარინე, უთანეშიშვილი თამაზი, და ძაძამია გულო), 67-ე-დან (მაისურაძე, ვართანაშვილი), 65-ე-დან (პირიანაშვილი ნანა), 87-ე-დან (აფრიაშვილი). და რკინის გზის მე-7 სკოლიდან (სიხარულიძე მადლია).

ალექსანდრე ბენაშვილს კულტურის სამინისტროს და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის საპატიო სიგელი გადასცა საქართველოს კულტურის სამინისტროს თეატრალური განყოფილების უფროსის მოადგილემ თ. ჯანელიძემ, თოჯინების თეატრის კოლექტივის სახელით იუბილარს მიესალმნენ შ. ცუცქვირიძე და შ. ნარეკლიშვილი. საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის და პრეზიდიუმის სახელით. მისასალმებელი ადრესი გადასცა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ნიკო გომიაშვილმა.

თოჯინების თეატრის მსახიობმა თ. ანთაძემ იუბილარს წაუყიფა საკუთარი ლექსი.



საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, 11 ივლისს, მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრში მოაწყო ამ თეატრის მაყურებელთა კონფერენცია.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ანხ. ს. ფხაკაძემ. მან აღნიშნა, რომ „ქუთაისის მაყურებელთა კონფერენციების მოწყობის ერთგვარი ტრადიცია აქვს, მაგრამ ეს კონფერენცია მეტად მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ მასში მონაწილეობას იღებენ საქართველოს თეატრალური საზოგადოება, თეატრ-მკოდნეები, კრიტიკოსები, დრამატურგები. ქუთაისის თეატრი—განავრძობს სხდომის თავმჯდომარე—მიდის აღმავლობის გზით მის შემდეგ, რაც ამ საქმეს სათავეში საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ვასაძე ჩაუდგა. მისი ხელმძღვანელობით ამ თეატრმა ბევრი კარგი და საინტერესო სპექტაკლი განახორცილა. ამასთანავე ერთად თეატრი ვახდა კარგი ლაბორატორია, ქუთაისში მომუშავე მწერალთა და დრამატურგთა ახალგაზრდა კადრების აღსაზრტელად.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ წარმატებასთან ერთად ქუთაისის თეატრს რეპერტუარის სფეროში გააჩნია სერიოზული ნაკლოვანებანი. თეატრმა ხელი მოჰკიდა შედარებით უფრო სუსტ პიესებს, რამაც მაყურებლის გულისტკივილი გამოიწვია*.

შესავალი სიტყვის დასრულს ანხ. ფხაკაძემ იმედი გამოთქვა, რომ მიმდინარე მაყურებელთა კონფერენცია ხელს შეუწყობს ქუთაისის თეატრის შემდგომ აღმავლობას.

მომხსენებელი, თეატრმკოდნე ვასილ კიკნაძე შეეხო 1961—62 წლის თეატრალური სეზონის სპექტაკლებს ქუთაისის თეატრში.

განიხილა რა „რიჩარდ მესამე“, მომხაენებელმა თქვა: თანამედროვე გაგების თვალსაზრისით შექსპირის „რიჩარდ მესამე“ მეტად რთული ნაწარმოებია და მისი დადგმა დიდი სითამამეა. ქუთაისის თეატრის მიერ ეს სითამამე გამართლებულია იმ მხრივ, რომ ნა-

წარმოები დაძლეულია. სასიხარულოა, რომ შეიქმნა ისეთი სპექტაკლი, რომელიც დიდ საიმოვნებას ჰგვრის მაყურებელს. ეს გამარჯვება არა მარტო ქუთაისის თეატრისა, არამედ წარმატება ქართული საბჭოთა თეატრის. სპექტაკლის ცენტრში დგას რიჩარდ მესამე—აკაკი ვასაძე, რომელმაც უარყო ტრადიციული გზა სახის გახსნისა. მსახიობმა უარყო ემოციისაგან აღძრული სცენური ეფექტები და შეეცადა რიჩარდი ყოფილიყო ინტელექტით სრულყოფილი ადამიანი, რომელმაც იცის თავისი მოქმედების ყოველი ნაბიჯი, რომელსაც უნდა გაიკეთოს კარიერა, რისთვისაც არ ერიდება სისხლიან გზას დიქტატორისა. ეს გზა მან გაიარა, სწორედ ამ გზით აღწევს ეფექტს და არა ზოგადი ემოციებით.

აკ. ვასაძის რიჩარდი არის მკვეთრი თავისი დამოკიდებულებით. ის თავიდანვე ჰვრტს იმ გზას, რომელიც მან უნდა განელოს. ეს ნახაზი ძალიან საინტერესოა, მაგრამ ხომ არ სჯობს პირველ ნაწილში მისი დამოკიდებულება მოვლენებთან;—შუღლი, რომელიც მან ჩამოაგდო, მეტად იყო აქცენტირებული, ამის შედეგად ვახდება უფრო ნათელი შემდეგში მისი ტახტზე ასვლა.

აკ. ვასაძის შესრულება არ იქნებოდა ასეთი ეფექტური, რომ მას სპექტაკლში არ ჰყავდეს შესაფერი აქტიორული ანსამბლი. ყოველი გმირი აქტიორული ოსტატობით მაღალ დონეზე დგას*.

ამის შემდეგ მომხსენებელმა დეტალურად განიხილა სპექტაკლი „ირინეს ბედნიერება“. „სპექტაკლში—შენიშნავს მომხსენებელი,—მესხიშვილის სახელობის თეატრმა სწორად გახსნა ტრავიკული პათოსი ახალგაზრდა ქალისა; რომელიც მსხვერპლი გახდა იმ გარემოსი, რომლის გარეშეც მას ცხოვრება არ შეეძლო.

მსახიობ ვაჰაიძის მიერ ირინეს ტრავიკული სახე თავის ძირითად ტონებში, მიზანსცენებში, სწორედ არის გააზრებულ. ეს რეა-



ლისტური გზაა, რომლითაც სუნთქავს ირინეს სახე. ასეთივეა სვანიძის აბესალომი და სხვა მსახიობთა (იქნება ეს გვანცელაძე, ხაჯალია თუ სხვა) მიერ განხორციელებული სახეები“.

განხილავს რა მომხსენებელი სპექტაკლ „უმითვის“, მაღალ შეფასებას აძლევს მსახიობ სისაურის მიერ განხორციელებულ ლარისას როლს. „მან ოსტატურად გახსნა ლარისას დიდი ტრაგიკული ცხოვრება. ლარისას რთულ და დახვეწებულ საზოგადოებაში მოქცეული. ის ცდილობს ვასცდეს ამ ცხოვრებას, მაგრამ ვერ შესძლო და დაიღუპა კიდევაც. მსახიობის სპექტაკლის მთელ მანძილზე გააჩნია დიდი შინაგანი ენერჯია, მაგრამ სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით თავის დახრჩობის სცენაზე, რამაც ამ მომენტში სახე ნაკლებ დამაჯერებელი გახადა.“

ალბიან საინტერესოა მსახიობ ხაჯალიას მიერ განსახიერებელი კარანდიშევი. იგი სავსებით დამაჯერებელია და ნამდვილი სცენური ცხოვრებით ცხოვრობს. მსახიობმა ჭეშმარიტი სიხარულის შემდეგ სულიერი ტრამეა დიდი აქტიორული დრამატიზმით გამოხატა“.

მომხსენებელმა დასახელებულ სპექტაკლში კარგ აქტიორულ ნამუშევრად ჩათვალა მსახიობების შოთა პირველის და ჩიქვილიძის მიერ შექმნილი სახეები.

გ. კიკნაძემ სპექტაკლ „თეთრი ღამურას“ გარჩევამდე განიხილა დრამატურგ დ. თაქთაქიშვილის დასახელებული პიესა. მოიწონა ამ პიესაში ავტორის მიერ დახატული ბარდღას სახე, რომელსაც სპექტაკლში მსახიობი ხაჯალია ასრულებს—„ეს სახე საინტერესოა იმ მხრივ, რომ თავიდანვე ჩვენ მას ვხედავთ, როგორც უარყოფითს (იგი ქურდია), შემდეგ კი თანდათანობით იღვიძებს მასში კეთილი საწყისი ადამიანისა. ასეთი სახის განვითარება რთული მისაღწევია დრამატურგიულ ნაწარმოებში და მით უფრო ძნელადაა იგი გასახსნელი სპექტაკლში, მაგრამ სასიხარულოდ უნდა ითქვას, რომ ეს სიძნელებები დამლევულია, როგორც დრამატურგის ასევე მსახიობის მიერ“.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა მომხსენებელმა მთლიანად პიესა უარყოფითად შეაფასა—„ავტორი მეტად საინტერესო პრობლემას შეეხა, სახელდობრ სახელმწიფოს მოტყუების საკითხს, მაგრამ დრამატურგმა ვერ შესძლო მოეძებნა ამ თემატური სახის შემდგომი გადაწყვეტა. პიესაში გაურკვეველია

ქანრის საკითხი. ჯანრული აღრევა გავლენას ახდენს სპექტაკლზე და ნიჭიერ რეჟისორს თ. მესხს ვერ მოუხერხებია მისი ერთ ჟანრში მოქცევა“.

„თოვლიან ღამე“—განაგრძობს მომხსენებელი, —ეკუთვნის დრამატურგ დ. კვიციანიძეს. ქუთაისის თეატრის სასახელოდ უნდა ითქვას, მან გამოიხატა დრამატურგების ახალგაზრდა კადრები და რომ ჩვენს დრამატურგისა შეემატა დ. კვიციანიძე ეს თეატრის დამსახურებაა.

პიესაში მოცემულია ახალგაზრდა ადამიანის ცხოვრების გარდაქმნის პრობლემა. შეიძლება ადამიანი ქურდი იყოს, მაგრამ მან შეიგნოს თავისი დანაშაული და მოინანიოს იგი, ჩვენს წინაშე წარმოადგეს ახალი ცხოვრების ადამიანი. ეს კეთილშობილური იდეა პიესაში პოეტურად არის მოტანილი.

სცენაზე პირობითობის პრინციპი გარკვეული მხატვრული აზროვნების პროცესია. ახლა, რატომღაც, მოიდა იქცა პირობითობა. სცენიდან გატანილია ყველაფერი და დგას მხოლოდ ერთი სკამი. ზოგ სპექტაკლში ეს შეიძლება კარგია, მაგრამ ზოგში არ ვარგა. დ. კვიციანიძის პიესა დაწერილია ლირიკულ-დრამატული ახორციელებენ შიშველ სცენაზე, მსახიობები იძულებული არიან აუწონონ ხმას. რის გამოც ეკარგება მხატვრული ნაწარმოების ქანრი. ასეთმა დეკორაციულმა პირობითობამ გარკვეული ზიანი მიიყენა პიესას. მაყურებელამდე ნაკლებ მოდის სპექტაკლის მეორე პლანი და ემოციები. სცენაზე იფანტება ყველაფერი“.

დასასრულს მომხსენებელი შეჩერდა პ. კაკაბაძის „ცხოვრების ჯარზე“ და იწონებს რა პიესის იდეურ და მხატვრულ გადაწყვეტას, საყვედურობს თეატრს, რომელსაც ჩაუტარებია პიესის მეტად მკაცრი მონტაჟი.

მომხსენებელი შენიშნავს, რომ მსახიობ გვენცაძეს, რომელიც ლომიანეს როლს ასახიერებს, სპექტაკლის პირველ ნაწილში აკლია მხატვრული ფორმები და სწრაფვა კვლავ დიდი თანამდებობის სავარძლისაკენ, რომლიდანაც ის ერთხელ უკვე გადმოივადეს. ლომიანეს ხომ იმიტომ უტრიალებენ გარს მლიქვნელები, რომ იმედიანები იგი კვლავ ჩაჯდება თავის სავარძელში.

დასასრულს მომხსენებელმა გამოთქვა ღრმარწმუნა, რომ ქუთაისის თეატრი შეინარჩუნებს და სახელოვნად განავითარებს იმ ტრა-

დიციებს, რომლებსაც ეს თეატრი ქმნიდა ერთი საუკუნის მანძილზე.

მუსიკისმცოდნე ანტონ წულუკიძემ თავისი გამოხატვა მიუძღვნა მუსიკის საკითხს ქუთაისის თეატრის მიმდინარე რეპერტუარის რამდენიმე სპექტაკლში. მან თქვა: „ჩვენ გვეყვან ისეთი კომპოზიტორები, რომლებიც ღირსეულ თანამემოქმედებას უწევენ თეატრს. ერთ-ერთი ასეთი გამოვლინებაა ალექსი მაჭავარიანის ნამუშევარი სპექტაკლში „რიჩარდ მესამე“. ალ. მაჭავარიანის მუსიკის ღირსება იმაშია, რომ იგი გადაწყვეტილია თანამედროვე კომპოზიტორის თვალთ. ერთის მხრივ დაცულია გარკვეული კოლორიტი—მეორეს მხრივ მოტანილია პირქუშობა, სიცივე, რაც რელიგიიდან მომდინარეობს. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ როცა მუსიკა ეხება პარონიულ ენას, ამ დროს ზოგიერთი ორკესტრული ხერხი—ხარები, ორღანო, ყველაფერი მოცემულია ისე, რომ იწვევს ემოციურ ზემოქმედებას.

აკ. ვასაძის სპექტაკლში რომ ასეთი მუსიკაა, ეს არის არა მარტო კომპოზიტორის მიღწევა, არამედ რეჟისორის მკაცრი გემოვნება. სპექტაკლ „თოვლიან ღამეში“ ცაბაძის მუსიკაა. იგი დაწერილია პოპულარულ სიმღერების თემაზე, მელოდიურია, მღერადია. ეს იმ ტიპის მუსიკაა, რომელსაც ჩვენი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ხშირად მღერის, მაგრამ ამავე დროს ჩვენ საქმე გვაქვს ერთგვარ საშიშროებასთან. ეს არის მუსიკის სტანდარტიზაცია.

„ცხოვრების ჯარაში“ მოცემულია მუსიკის მონტაჟი. მონტაჟის პრინციპი, სხვადასხვა კომპოზიტორების მუსიკისა ეკლექტიზმის საშიშროებას იძლევა. ისევე, როგორც პიესა არ შეიძლება ეკლექტიკურად დაიდგას, ისევე მუსიკა.

რეჟისორმა ო. ანდრონიკაშვილმა თავის გამოხატვით მაყურებლის ყურადღება შეაჩერა რეჟისორისა და მხატვრის მუშაობაზე

ზემოთდასახელებულ სპექტაკლებში. მაღალი შეფასება მისცა მხატვარ ფ. ლაპიაშვილის მხატვრობას „რიჩარდ მესამეში“.

მაყურებელი ხმაოაძე ლაპარაკობს ქუთაისის თეატრის მრავალფეროვნებაზე. იგი არ დეთანხმა მომხსენებელს მასში, რომ ოსტროვსკის „უმზითო“ არ უნდა დადგმულიყო, რადგან ეს პრობლემა მოცემულია „ირინეს ბედნიერებაში“. უნდა მოიხსნას ყოველგვარი განაგრძობს ხმაოაძე—შეღავათები როგორც ჰქონდათ კვიციანიძის და სანიკიძის პიესებს.

მაყურებელ ხმაოაძეს შემოაქვს წინადადება, თბილისიდან და სხვა ქალაქებიდან სხვადასხვა დადგმებზე მოწვეულ იქნან რეჟისორები. შეეხო რა მეტყველების კულტურას ქუთაისის თეატრში,—თქვა: „მსახიობის მეტყველება დიდ დამუშავებას მოითხოვს ჩვენს თეატრში. ამ მხრივ სპექტაკლებში დიდი სიჭრელეა. „რიჩარდ მესამეში“ ერთი მსახიობი სხვანაირად მეტყველებს, მეორე მსახიობი სხვანაირად. სტილი მეტყველებისა აღრეულია და ამის უნდა მიექცეს ყურადღება“.

მაყურებელი მკავანაძე მაღალ შეფასებას აძლევს პ. კაკაბაძის „ცხოვრების ჯარას“ და მოიწონა რა სპექტაკლი, განიხილა მსახიობების გვენცაძის, შ. პირველის, ე. კოლხიდელის და კოკლაძის მიერ შექმნილი სცენური სახეები.

ქუთაისის თეატრის ხელმძღვანელმა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა აკაკი ვასაძემ მაყურებელს მოუწოდა თეატრისადმი მეტი მხარდაჭერისაკენ. ამ მხრივ მოიგონა ფაქტები ქუთაისის თეატრის ისტორიიდან; თუ როგორ ეღვა მაყურებელი მხარში თავის თეატრს და თუ როგორ შეინარჩუნა იგი.

რა თქმა უნდა—განაგრძობს ვასაძე—ჩვენ ნაკლებ გვაქვს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ყოველივე ეს, დაფუძვრდეთ და ჩვენი რეპერტუარი ავავოთ ისე, რომ მაყურებელი კმაყოფილი დარჩეს“.



საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გარდა ღონისძიებებისა, რომლებიც „მოამბის“ ამ ნომერშია გაშუქებული, რესპუბლიკის სახელმწიფო და სახალხო თეატრების კოლექტივებსა და კულტურის სახლებთან არსებულ თვითმოქმედ თეატრალურ წრეებში ჩაატარა კიდევ შემდეგი ღონისძიებანი:

თეორიული ხასიათის ლექციათა ციკლიდან თბილისის თეატრების მუშაკებისათვის აკადემიკოსმა ანგია ბოჭორიშვილმა წაიკითხა ლექცია თემაზე: „არაცნობიერის პრობლემა ფსიქოლოგიაში“, ხოლო თეატრმცოდნე ელ. შაფათავამ ესთეტიკის საფუძვლები“ (ბათუმის თეატრში).

გარდა ამისა საქართველოს თეატრალური საზოგადოების მე-5 ყრილობის მზადებასთან დაკავშირებით მოხსენებები აუმაზე „საქართველოს თეატრალური საზოგადოების საქმიანობა 1958-1962 წ.“. წაიკითხეს: თეატრმცოდნე ნ. შვანგარაძემ—სახელმწიფო ოპერისა და რუსთაველის სახ. თეატრებში, ხელოვნ. დამსახ. მოღვაწე დ. ჩხეიძემ—პარჯანიშვილის, გრებოვლიანის, თბილისის სიმფონიური, ქართული და რუსული მოხარდ მაყურებელთა და ნუსკომედიის თეატრებში.

ამხ. გ. იაქაშვილმა—სანკულტურის და თელავის სახელმწიფო თეატრებში და აგრეთვე გურჯაანისა და ველისციხის სახალხო თეატრებში, რესპ. დამსახ. არტისტმა მ. შველაძემ—კულტ. საგამანათლებლო სასწავლებელსა და საქ. ფილარმონიაში.

მოხსენებები თემაზე: „გრიმი სპექტაკლში“ წაიკითხა მ. დედანაშვილმა.—ქუთაისის მოხარდ მაყურებელთა სახალხო თეატრში,—წულუკიძისა და მაიკოვსკის სახალხო თეატრებში; „რეჟისორის მუშაობა სახალხო თეატრში რესპ. სახალხო არტისტმა პ. თენაგიაშვილმა.—სამტრედიის სარაიონო და რკინიგზის სახალხო თეატრების კოლექტივებში, რეჟისორ ო. ანდრონიკაშვილმა—ჩოხატაურის სახალხო თეატრში; ხელოვნ. დამსახ.

მოღვაწე ნ. გომიაშვილმა—თელავის სახელმწიფო თეატრში და გურჯაანისა და ველისციხის სახალხო თეატრებში, რეჟისორმა ვლ. მოდებაძემ—საგარეჯოს სახალხო თეატრში და სხვა.

გარდა ამისა თეატრმცოდნე კ. გაწერელიამ ზუგდიდის კულტურის სახლის თვითმოქმედ დრამწრეში წაიკითხა ორი მოხსენება, „ქართული თეატრის მოღვაწეები რუსეთში“ და „მცირე ფორმის დრამატურგია“, ხოლო პოეტმა ალ. ადამიამ სოფ. იყალთოს კულტურის სახლში თემაზე: „თანამედროვე ქართული დრამატურგია“ და მსახიობმა გ. სალარაძემ თელავის თეატრში „მსახიობის მუშაობა როლზე“. ამავე დროს თეატრალური საზოგადოების მიერ სისტემატიურად იგზავნიდნენ რეჟისორები და თეატრმცოდნე—კრიტიკოსები სპექტაკლების განსახილველად და მისაღებად ადგილებზე, როგორც სახელმწიფო, ისე სახალხო თეატრებში.

აქე მაგალითად: ქიათურის თეატრში სპექტაკლ „თეთრი ღამურას“ და ფოთის თეატრში „ჩემი ყვავილეთის“ მისაღებად მივლინებული იქნა პ. ფრანგიშვილი, ზუგდიდის თეატრში—„მოკვითილის“ და „უსახილო ვარსკვლავის“ მისაღებად თეატრმცოდნე ვ. ლოლაძე, —თელავის თეატრში „მზე ცრემლში“—ვ. კიკნაძე, გორის თეატრში—„ოჯახური აურზაური“—ხელოვნ. დამსახ. მოღვაწე შ. კილოსანიძე და სპექტაკლ „განძის კუნძულის“ მისაღებად ამხ. გ. იაქაშვილი, თელავში—„ჩრდილი ყვავილზე“ ნ. გომიაშვილი და გ. იაქაშვილი, ფოთის სახელმწიფო თეატრში „გზაფხულის ცრემლები“ და ცხაკაიას სახალხო თეატრში „მემოდგომის აზნაურები“—ხელოვნ. დამსახ. მოღვაწე ვ. მურღულია, ლ. მესხიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო თეატრში—„როიარდ მესამე“ და „ცხოვრების ჯარა“—ალ. შალუტაშვილი, ბათუმის თეატრში—„ყვარყვარე თუთაბერის“ და ჩოხატაურის სახალხო თეატრში—„მამის მკვლელის“ მისაღებად რესპ. სახალხო არტისტი ვ. ნინიძე



Краткая анотация

ЖУРНАЛА „МОАМБЕ“ № 2—Орг. Грузинского Театрального Общества

„Новые задачи, ясные перспективы (передовая)“

Статья посвящена решениям V съезда Театрального Общества Грузии, наметившего конкретные мероприятия для прибли-

жения театрального искусства к жизни грузинского народа и создания высокохудожественного репертуара.

Пятый съезд Грузинского театрального общества

16-17 апреля с. г. состоялся V съезд Грузинского Театрального Общества.

В статье дан подробный отчет съезда.

Содержательный доклад о деятельности общества за истекший с IV съезда период (с декабря 1957 по март 1962 г.) сделал председатель Театрального Общества тов. Мревлишвили М. Н.

С отчетным докладом о деятельности ревизионной комиссии выступил ее председатель тов. Нар. Арт. СССР Ницидзе В. А.

В развернувшихся прениях приняли участие режиссеры, актеры, драматурги, театроведы и другие деятели искусства, в том числе т. т. Г. Вуцшикашвили, В. Кикнадзе, Ш. Мухи, Д. Антадзе, В. Габескирия, Е. Гогиашвили, М. Хиникадзе, Г. Абрамишвили, народный поэт—академик Георгий Лесидзе, народные артисты СССР—Верико Анджапаридзе и Акакий Хорава, критик В. Жгенти, зам. министра

культуры—Г. Повхадзе, Нар. Арт. СССР А. Пагава, Нар. Худож. Е. Ахвледзиани, писатель Р. Коркия, академик А. Бочоришвили, Е. Гугушвили, М. Ольшаницкая и другие.

Спространной речью выступил зам председателя Всероссийского Театрального Общества т. Н. А. Сагетов, который передал привет съезду Театрального Общества Грузии от председателя Всероссийского Театрального Общества народной артистки СССР А. А. Яблочниковой.

С приветствиями от Всероссийского театрального общества выступили артист Московского художественного театра им. Горького В. Квачадзе, от армянского Театрального общества—т. А. А. Араксманян, от азербайджанского Театрального общества—т. А. Алекперов, от украинского Театрального общества—т. т. Д. Милютенко и Н. Гебдовская и от Союза журналистов в Грузии т. Ак. Дзидзигури.

Выставка работ художника Ираклия Гамрекели в Москве

Журнал помещает корреспонденцию из Москвы об организованной там выставке работ известного советского театрального

художника-декоратора, заслуженного деятеля искусств Грузинской ССР Ираклия Гамрекели.

Выставка была организована по инициативе Союза художников СССР, Всероссийского и Грузинского театральных обществ.

В корреспонденции подробно рассказывается об открытии выставки, вызвавшей огромный интерес всей театральной общест-венности, представители которой с ин-тересом смотрели эскизы и макеты прина-длежащие замечательному художнику.

Торжественное собрание открыл зам. председателя Всероссийского театрального общества тов. Н. А. Саветов, который отметил творческие особенности И. Гамре-

тели и его роль в развитии советского декоративного искусства.

С обширной характеристикой творчества художника выступили народный артист Грузинской ССР Д. Алексидзе, народный артист СССР г. Товстоногов, заслуж. деят. иск. художник Б. Квоблок, заслуженный деятель искусств РСФСР М. Туманишвили, критик В. Жгенти и другие.

Двадцат две длилась выставка в Москве, после чего она была перевезена в Ленинград, где также имела большой успех.

Грузинский ТЮЗ в Москве

В результате смотра театров юных зри-телей, проведенного в ознаменование 40-летия пионерской организации, Грузин-ский ТЮЗ получил почетное право пока-зывать свое искусство в Москве, в частно-сти спектакли—„Журавли“ В. Гоголашви-

ли и „Циния“ А. Казбеги. Статья расска-зывает о большом успехе, доставшемся обоим спектаклям в театральной столице. Эти спектакли доставили грузинскому ТЮЗУ первое место и диплом первой степени.

Диспут о спектакле „Медea“ в театре им. К Марджанишвили

В статье дан подробный отчет состояв-шейся конференции зрителей, посвященной разбору спектакля „Медea“ в театре им. К. Марджанишвили.

Театровед Н. Гурабадзе в своем док-ладе отметил достоинства спектакля—его превосходное актерское исполнение; хоро-

шую постановку и музыкально-художест-венное оформление.

В прениях выступили С. Хуцишвили, Д. Джавлидзе, М. Ольшевинская, А. Цулу-кидзе, П. Берадзе, А. Чхартишвили и другие.

Вечер памяти Коте Марджанишвили в Москве

Театральная общественность Москвы широко отметила 90—летие со дня рожде-ния выдающегося советского режиссера, большого художника и сценического дея-теля К. А. Марджанишвили.

Статья представляет подробный от-чет состоявшегося 31 мая 1962 г. в Москве вечера, посвященного памяти великого театрального деятеля, реформато-ра грузинской сцены. В вечер приняли участие Грузинское и Всероссийское теат-

ральные общества и Совет Московского центрального дома актеров. С воспомина-ниями о К. А. Марджанишвили выступили народные артисты СССР—Е. Гоголева и В. Анджапаридзе, народные артисты РСФСР—Н. Светловидов, Г. Ярон, А. Дейч, режиссер-театровед Г. Брыжицкий и др. Присутствующим были показаны сцены из спектаклей „Овечьего источника“, „Ури-еля Акоста“, кадры из кинофильмов, осу-ществленных К. А. Марджанишвили.

Под таким заголовком печатает журнал подробную информацию о состоявшемся юбилейном вечере, посвященном 40-летию театральной деятельности народного артиста Грузинской ССР Додо Антадзе—выдающегося деятеля грузинского театра, принадлежащего к той плеяде работников грузинской сцены, которые под руководством великого режиссера-новатора К. А.

Марджанишвили положили основу новому грузинскому театру.

В своем докладе о жизни и творчестве юбиляра Б. Жгенти отметил, что верный ученик К. Марджанишвили, в продолжении 40 лет твердо стоит у кормила грузинской сцены, вложив много труда в развитие грузинской театральной культуры.

Творческий вечер заслуженной артистки республики Т. Банрадзе

Журнал печатает корреспонденцию об организованном Грузинским театральным обществом творческом вечере заслуженной

артистки Грузинской ССР—Тамары Банрадзе, в котором приняли участие представители театрального искусства Тбилиси.

Творческие вечера

Журнал печатает корреспонденцию из Батуми о состоявшемся там творческом вечере артиста Батумского театра имени И. Чавчавадзе М. Джалагания, которому

исполнилось 60 лет со дня рождения и 40 лет сценической деятельности.

За беззаветную службу родному театру М. Джалагания удостоен звания заслуженного артиста Грузинской ССР.

В журнале печатается также корреспонденция о творческом вечере артиста Грузинского государственного театра кукол

А. Бенашвили, 60-летие со дня рождения которого тепло отметила театральная общественность Тбилиси.

Конференция зрителей

11 июля с. г. Театральное Общество Грузии организовало в Кутаиси конференцию зрителей Кутаисского драматического театра им. Д. Месхишвили.

Журнал печатает подробную информацию об этой конференции, в которой вместе с зрителями театра приняли участие театроведы, критики, драматурги и другие. Конференцию открыл секретарь Кутаисского горкома КП Грузии тов. С. Пха-

кадзе. Обзорный доклад о работе театра сделал театровед В. Кикнадзе. В обсуждении спектаклей театра приняли участие деятели искусства и зрители т. т. А. Цулукидзе, О. Андроникашвили, Хмаладзе, Мжаванадзе и другие.

С заключительным словом выступил руководитель театра, народный артист СССР—Акакий Васадзе.

О деятельности Грузинского Театрального Общества
 За II квартал 1962 г. (хроника)

ს ა რ ჩ ე ვ ი

ახალი ამოცანები, ნათელი პერსპექტივები	3
საქართველოს თეატრალური საზოგადოების შე-V ყრილობა	5
მოსკოვში მოეწყო ირაკლი გამრეკელის ნამუშევართა გამოფენა	12
მოზარდ მაყურებელთა თეატრი მოსკოვში * * * *	26
დისპუტი მარჯანიშვილის სახ. თეატრის სპექტაკლის „მედეა“ გარშემო	19
კოტე მარჯანიშვილის მოსაგონარი საღამო მოსკოვში	23
რესპუბლიკის სახალხო არტისტის დოდო ანთაძის იუბილე	25
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის თამარ ბაქრაძის შემოქმედებითი საღამო	27
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის მიხ. ჯალალანიას შემოქმედებითი საღამო	29
ალექსანდრე ბენაშვილის შემოქმედებითი საღამო	31
მაყურებელთა კონფერენცია	33
საქართველოს თეატრალური საზოგადოების მოღვაწეობა II კვარტალში—აპრილი— მაისი—ივნისი	36

СО Д Е Р Ж А Н И Е

	стр.
Новые задачи, ясные перспективы	3
V съезд Грузинского Театрального Общества	5
Выставка работ Ираклия Гамрекели в Москве	12
Грузинский ТЮЗ в Москве	16
Диспут о спектакле театра им К. Марджанишвили „Медея“	19
Вечер памяти К. А. Марджанишвили в Москве	23
Юбилейный вечер Нар. Арт. СССР Д. К. Антадзе	25
Творческий вечер зас. Артистки СССР Тамары Бакрадзе	27
Творческий вечер зас. Артиста СССР Мих. Джалагания	29
Творческий вечер Александра Белашвили	31
Конференция зрителей	33
Деятельность Театрального Общества Грузии во втором квартале—Апрель— Май—Июнь	36

На правах рукописи

Т. О. Г.

В Е С Т Н И К

ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Тбилиси—1962

2 № (20)